ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 9 ოქტომბერი, 2023 №198 (9234) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისრაელში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა



გვ. 3,6

# „გახარიას რეიტინგი როგორ იმატებს, ძალიან მიკვირს“



თორნიკე შარაშენიძე: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ მოხდება“



გვ.2

## ივანიშვილი ახალ გუნდს აყალიბებს?!



გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა გაუსაძლისი ხდება“

## პრეზიდენტი პრემიერს რა შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს?!

გვ.4



ლევან ხაბეიშვილი: „სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის ორი სათამაშოა ერთ ხელში“

გვ.3

## გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება“ იშლება“



გვ.2



გვ.3

საქართველოში ისრაელის ელჩი განცხადებას ავრცელებს

## ვინ არიან ისრაელში დაღუპული ქართველი ებრაელი ოფიცრები

ცნობილი ფეხბურთელი, ლიორ ასულინი, “Nature party-ის“ მუსიკალური ფესტივალის მონაწილეთა ცხედრებს შორის იპოვეს





## ლავრენტი ბერია და პარტიზანული მოძრაობა

— გვ.5 —



რა სიხშირით უნდა კვებოთ ბავშვი

4 „თოკით აბამდა და სცემდა“ — რას ამხელს მოკლული 14 წლის გოგოს ოჯახი

4 როგორ სძალავენ პატიმრებს საქართველოში ფულს

6 რუსეთმა უკრაინის დაბომბვა გააძლიერა

7 ბორჯღალოსნებმა მსოფლიო მოგების გარეშე დაასრულეს

1993230720223

# „გახარიას რეიტინგი როგორ იმატებს, ძალიან მიკვირს"

## თორნიკე შარაშენიძე: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ მოხდება"

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.



***– ბატონო თორნიკე, საზოგადოება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. სასამართლომ უნდა დაადგინოს, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუცია და შემდეგ პარლამენტმა განიხილოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. უამრავი შეფასება მოვისმინეთ. რას იტყვით თქვენ? დაარღვია პრეზიდენტმა კონსტიტუცია?***

– სალი აზრიდან გამომდინარე, მე მაინც მგონია, რომ დაარღვია. უნდა შეათანხმოს მთავრობასთან, მორჩა და დამთავრდა. კი, ამბობენ, რომ ასევე კონსტიტუციაში წერია ევროატლანტიკური გზის განმტკიცება, მაგრამ სად არის გარანტია, რომ თავის ვიზიტებით ზურაბიშვილი განამტკიცებს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას?! ყველამ კარგად ვიცით, ეს პროცესი არ დაიწყებოდა საკონსტიტუციოში, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რომ არ გამხდარიყო უხერხული ფიგურა მმართველი გუნდისთვის. აი, ამაშია საქმე. ის გავიდა კონტროლის ზონიდან! ეს მოსალოდნელი იყო იმ ხალხისთვის, ვინც პრეზიდენტს ასე თუ ისე იცნობდა. ის ძალიან რთული ხასიათით გამოირჩევა. პირადად ჩემთვის სერიოზული სიურპრიზი იყო, როდესაც ეს ადამიანი „ოცნებამ" პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. ჩემთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ მისი გაკონტროლება გაუჭირდებოდათ და ეს გამოჩნდა კიდეც. ორი მიზეზი, რის გამოც იმართება ეს სასამართლო, უფრო ზუსტად შოუ – პირველი, ვერ აკონტროლებენ პრეზიდენტს, ის გავიდა ყველა ზონიდან, ყველა საზღვარს გასცდა და მეორე, არაა გამორიცხული, მართლაც ისეთ რაღაცას ლაპარაკობს ვიზიტის დროს, რომ მართლა აზიანებს ქვეყნის საქმეს. ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ, გამომდინარე იქედან, რომ ვიცნობ მის მოღვაწეობას.

***– ანუ არ გამორიცხავთ, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ვიზიტების დროს ქვეყნის ინტერესს აზიანებს?***

– განგებ არა, მაგრამ მისი როყიო განცხადებებით ასე გამოდის. გავიხსენოთ მისი წარსული. ის არ იყო ბრწყინვალე დიპლომატი საფრანგეთის საგარეო სამსახურში. მინისტრად როდესაც დანიშნეს, მაშინ უფრო გაითქვა სახელი, ვიდრე საფრანგეთში მოღვაწეობისას.

***– ბატონო თორნიკე, თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერში მთავარი მიზეზი არის ის, რომ მთავრობა ველარ აკონტროლებს პრეზიდენტს?***

– კი, რა თქმა უნდა, ეს მომენტიც. თუმცა, მეორეც არის, რადგან ასეთი საფრთხილო გზის გავლა გვიწევს კანდიდატის სტატუსის მიღების წინ, არ გამოვრიცხავ, რომ მან თავისი ხმამაღალი და როყიო განცხადებებით დააზიანოს საქმე.

***– ახლა მისი იმპიჩმენტი, სტატუსის მიღების წინ, უფრო არ აზიანებს ამ საქმეს?***

– ქვეყნის იმიჯს ნამდვილად აზიანებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იმპიჩმენტის მცდელობა დასრულდება არაფრით. უბრალოდ, ხელისუფლებას სურს, მას დისკომფორტი შეუქმნას და აგრძნობინოს, რომ ასე არ შეიძლება.

***– ანუ ვერ შეძლებს „ქართული ოცნება" პრეზიდენტის იმპიჩმენტს?***

– წესით ვერა, რადგან საკმარისი ხმები არ აქვთ. თუმცა, პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, რა შოუც ფარცხალაძეზე დაატრიალა სალომე ზურაბიშვილმა, არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ სასწაული მოიმოქმედოს ამ დღეებში. ამიტომ ბოლომდე გამორიცხული არაფერია.

***– იმაზეც საუბრობენ, რომ „ოცნებას" გარანტირებული აქვს ასი ხმაო.***

– მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება. ანუ გარკვეული ოპოზიციური ძალები მათთან თანამშრომლობენ ჩვეულებრივად, საჯაროდ გვაბოლებენ, თვალში ნაცარს გვაყრიან და ერთმანეთთან ჩვეულებრივად გარიგებულები არიან. თუ ასეა, მაშინ დაგვანებონ თავი, ჭკუას ნუ გვარიგებენ ტელევიზორიდან და ნუ მოგვიწოდებენ, გამოდით ქუჩაში, დაამხეთ მთავრობაო!

***– რამდენად უშვებთ, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის თამაშია? ვინც ასე ფიქრობდა, სატელევიზიო სიუჟეტის ნახვის შემდეგ, კიდევ უფრო გაუმყარდა ეჭვები. ბიძინას ალმართისკენ მიმავალი პრეზიდენტი...***

– კი, ვნახეთ ალმართზე მიმავალი, მაგრამ თბილისშია ბატონი ბიძინა?! ძირითადად აბასთუმანშია, ხან შეკვეთილში. იყო თბილსში საერთოდ?! არ ვიცი ნამდვილად, ჭორებს ვერ ავყვები. ნამდვილად არ გამოვრიცხავ, კონტაქტი ჰქონდეს ივანიშვილთან, მაგრამ ფაქტი არ გვინახავს.

***– თქვენ თუ გაგიჩნდათ ეჭვი, რომ შესაძლოა იყოს ეს ბიძინა ივანიშვილის თამაში?***

– თამაში რა გაგებით?!

***– რომ სჭირდება ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციაში. ახლა საუბრობენ პრეზიდენტ ზურაბიშვილისა და გიორგი გახარიას ტანდემზე, ამას რამდენად უშვებთ?***

– ჩემი აზრით, ასე მარტივი არ იქნება ბიძინა ივანიშვილისთვის, რომ ენდოს გახარიასა და სალომე ზურაბიშვილს 2024-ისთვის. მე მაინც თავს შევიკავებდი მსგავსი პროგნოზისგან, რომ ბიძინა ივანიშვილი ჯიბის ოპოზიციას ქმნის სალომე ზურაბიშვილისა და გახარიასგან. არა მგონია.

***– ისე, თუ ხედავთ პრეზიდენტს ოპოზიციაში?***

– როდესაც გაუვა ვადა, თავისთავად ცხადია, სალომე ოპოზიციაში იქნება, მაგრამ იქ რას მოახერხებს, ეს სხვა ამბავია. ის რომ არ წამოეწიათ პრეზიდენტად, მას არანაირი სერიოზული გავლენა ოპოზიციაში, ცხადია, არ ექნებოდა. წამოწიეს პრეზიდენტად და ამიტომაც მოხდა მისი ხელახალი აქტუალიზაცია.

***– ბიძინა ივანიშვილის გარეშე რამდენად უშვებთ პრეზიდენტ ზურაბიშვილისა და გიორგი გახარიას ტანდემს?***

– გამორიცხული არაფერია. მიუხედავად იმისა, რომ გახარიას პრემიერმინისტრობის დროს პრეზიდენტს სერიოზულად შეუკვეცეს ფრთები, უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში არ დაუშვეს და ასე შემდეგ, მაინც არ გამოვრიცხავ, რა თქმა უნდა. გახსოვთ, რა ისტერიკები ჰქონდა ოპოზიციურ მედიას გახარიაზე? როდესაც თავის პარტია დააფუძნა და პრეზენტაცია მოაწყო, გვახსოვს ეს ისტერიკები. ახლა, ამ მედიის მენეჯერები გამოდიან და გახარიას აღმერთებენ. ასე რომ, პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა.

***– გიორგი გახარიას რეიტინგის მატებაც საეჭვოდ დაემთხვა ამ ყველაფერს...***

– სიმართლე გითხრათ, მე გამიკვირდა მისი რეიტინგის მატება. საიდან, რის ხარჯზე მოემატა ეს რეიტინგი, მიკვირს ძალიან.

***– ბატონო თორნიკე, კანდიდატის სტატუსი ვახსენეთ საუბრისას და ოქტომბრის ბოლოს უკვე გვეცოდინება, მოგვცემენ თუ არა სტატუსს. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– ტექნიკური პარამეტრებით, საქართველომ, ასე თუ ისე, შეასრულა დავალება. აბსოლუტურად არა, მაგრამ ასე თუ ისე შეასრულა. შეფასების ორი კრიტერიუმი არსებობს – აბსოლუტური და შედარებითი. ჩვენს მდგომარეობას თუ შევადარებთ მოლდოვასა და უკრაინას, მაშინ უნდა მოგვცენ სტატუსი.

***– ბატონო თორნიკე, მსოფლიოს ყურადღება ახლა ისრაელისკენ არის მიმართული. რა ხდება? რატომ მაინცდამაინც ახლა? ექსპერტთა ერთი ნაწილის მიერ გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს არის მცდელობა, რუსეთ-უკრაინის ომიდან ყურადღება სხვა მიმართულებით გადატანდეს. რას იტყვით თქვენ?***

– მე ვფიქრობ, რომ უბრალოდ ისარგებლეს იმით, რომ ახლა ისრაელში არის შიდა პოლიტიკური კრიზისი, ეს ერთი და მეორეც, ეს თავდასხმა დაემთხვა ეროვნულ დღესასწაულს, როცა ყველა გაშვებულია შვებულებაში. ბოლო 50 წლის პროცესებს და რუკას თუ შევხედავთ, ნელ-ნელა ისრაელს მიაქვს მთელი ეს ტერიტორია და როგორც ჩანს, ჩათვალა ჰამასმა, რომ დროა დაარტყან, სანამ ჯერ გვიან არ არის. აქედან გამომდინარე, მივიღეთ ის საშინელება, რაც ხდება ჩვენ თვალწინ.

***– ბატონო თორნიკე, საუბარია, რომ ამერიკული იარაღი აღმოჩნდა ტერორისტების ხელში და ირიბად უკრაინაზე მიდის უკვე ისრების გადატანა.***

– დიახ, სამწუხაროდ, აქ არის ეჭვი უკრაინაზე. თუ დადასტურდა, ეს სერიოზულ არგუმენტს მისცემს უკრაინის მოწინააღმდეგეებს კონგრესში.

***– რამდენად დააზარალებს ეს უკრაინას?***

– დახმარება მაინც გაგრძელდება, მაგრამ იქნება მეტი კონტროლი. თუმცა, როგორც ვიცი, კონტროლის დაწესებას ამერიკელები ისედაც აპირებდნენ. როგორც ჩანს, მათ ჰქონდათ უკვე გარკვეული ინფორმაციები მსგავს გარიგებებზე. კონტროლი აუცილებლად იქნება.

# გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება" იშლება"

„ქართული ოცნება" რეალურად იშლება, პერსპექტივა არ აქვს, იმხელა უნდობლობა აქვს თავის გუნდში, უნდათ, რომ ღია გახადონ ფარული კენჭისყრა, ეს არის რეალობა, – ასე გამოეხმაურა პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის" ლიდერი გიორგი ვაშაძე პარლამენტის რეგლამენტში დაგეგმილ ცვლილებებს, რომლის თანახმად, პარლამენტის მიერ თანამდებობის პირების თანამდებობაზე არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების წესი იცვლება.

ვაშაძის თქმით, რეალურად აღმოჩნდა, რომ უმრავლესობაში არ აქვთ ხმები და კონსესუსი პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით.

„ქართული ოცნება" რეალურად იშლება, პერსპექტივა არ აქვს, იმხელა უნდობლობა აქვს თავის გუნდში, უნდათ, რომ ღია გახადონ ფარული კენჭისყრა, ეს არის რეალობა. აქამდე ხომ ყველა ამბობდა, რომ აი, ოპოზიციაში ხმები და ა.შ. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ უმრავლესობაშიც არ აქვთ ხმები და კონსენსუსი იმპიჩმენტთან დაკავშირებით. აი, ეს არის მარტივი დიაგნოსტიკა. ოღონდ იმიტომ კი არა, რომ სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი კობახიძე სხვადასხვა თამაშს თამაშობენ, „ქართული ოცნების" დღევანდელ წევრებს, ვინც არიან პარლამენტში, აღარც ფარცხალაძის აგენტის მცველობა უნდათ, აღარც რუსული დავალებების შესრულება უნდათ და ყელში აქვთ უბრალოდ ეს თავხედობა, რასაც ადგილი აქვს „ქართული ოცნების" ლიდერების მხრიდან, ამიტომ, ახლა დაიწყეს, რომ მოდით, ღია იყოს ეს კენჭისყრა.



გახსოვთ, რომ 6 დეპუტატი გააძევეს პარლამენტიდან, რუსულ კანონს რომ არ მისცეს ხმა. ახლა ეუბნებიან, რომ ვინც ხმას არ მისცემთ, თქვენც გაგაძევებთ პარლამენტიდან. მე ვეუბნები „ქართული ოცნების" ყველა ღირსეულ წარმომადგენელს, რომელსაც არ უნდა, რომ რუსული თამაშის თანამონაწილე იყოს, ჩვენ დაგველაპარეთ, დავილაპარაკოთ ხალხნო და მერწმუნეთ, ჩვენც მოგეხმარებით იმაში, რომ ეს დიდი წნეხი არ მოხდეს.

ერთი, რომ თავის თავს არ ენდობიან, მეორე, როგორღაც ვიღაცები უნდათ, რომ თავისივე გუნდში მოისყიდონ, რომ აი, ვიცე-სპიკერად დაგნიშნავ, თუ მხარს იმპიჩმენტს დაუჭერ, კატასტროფულ დღეში არიან. ეს რეალურად არის ჩამოშლა. რეალურად, მათი საპარლამენტო გუნდი არ არის ერთიანი. ყველას არ უნდა ხელი რუსეთს მოაწეროს. აი, ეს არის მთელი შინაარსი ამ ცვლილებების. აი, ამიტომაც კენჭისყრა ფარული არ უნდათ, ვიღაცას თანამდებობებს უნაწილებენ და ა.შ. – განაცხადა ვაშაძემ.

ცნობისთვის, პარლამენტის მიერ თანამდებობის პირების თანამდებობაზე არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების წესი იცვლება, ასეთ გადაწყვეტილებებს პარლამენტი ფარულის ნაცვლად, ღია კენჭისყრით მიიღებს.

ეს ერთ-ერთია იმ ცვლილებათა შორის, რომლის განხორციელებაც „ქართული ოცნების" დეპუტატების ინიციატივით პარლამენტის რეგლამენტში იგეგმება.

რეგლამენტში ცვლილებების პროექტით, ღია კენჭისყრის წესი, მათ შორის, თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხზე კენჭისყრის შემთხვევებზე გავრცელდება.

კენჭისყრისას ფარულობის წესი მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის შემთხვევაში შენარჩუნდება, რადგან კონსტიტუციის თანახმად, მისი არჩევა ფარული კენჭისყრით უნდა მოხდეს.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, თანამდებობის პირების ღია კენჭისყრით არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს გამჭვირვალეს ხდის.

რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტის ბიუროს დღეს, 9 ოქტომბრის სხდომაზე წარედგინება.

# ბადრი ჯაფარიძე: „ამოცანა ნათელია — „ქართულ ოცნებას" სურს, პრეზიდენტი მაქსიმალურად შეზღუდოს"



– „ქართულ ოცნებას" სურს, პრეზიდენტი მაქსიმალურად შეზღუდოს, რომ მან ველარ შეძლოს ვიზიტების განხორციელება ევროპულ დედაქალაქებში, რომ საქართველოს მხარდაჭერა გაუწიოს ამ ისტორიულ მომენტში, – ამის შესახებ „ლელოს" ერთ-ერთმა ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილი ატარებს ქვეყნისთვის სასიკეთო და სასარგებლო პოლიტიკას.

– სასამართლო, სამწუხაროდ, დიდი გავლენის ქვეშ არის „ქართული ოცნების" მხრიდან და მართვადიც არის, როცა მათ ეს სჭირდებათ, ამიტომ დიდი იმედები საკონსტიტუციო სასამართლოს ობიექტურობასთან დაკავშირებით მე არ გამაჩნია. დაველოდოთ რა გადაწყვეტილებას გამოაცხადებენ. აქ ამოცანა ნათელია, რომ „ქართულ ოცნებას" სურს, პრეზიდენტი მაქსიმალურად შეზღუდოს, რომ მან ველარ შეძლოს ვიზიტების განხორციელება ევროპულ დედაქალაქებში, რომ საქართველოს მხარდაჭერა გაუწიოს ისტორიულ მომენტში. ალბათ, თუ დაინახავენ, რომ იმპიჩმენტი შესაძლებელია, მე ვფიქრობ, რომ ამისთვისაც მაქსიმალურად იზრუნებენ.

„ქართული ოცნების", როგორც მმართველი ძალის, მიმართ მაქვს უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება, რადგან ის ატარებს რუსული პოლიტიკისთვის მოსაწონ პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში.

მე ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილი ატარებს ქვეყნისთვის სასიკეთო და სასარგებლო პოლიტიკას, რადგან ის უწევს ქვეყანას ლობირებას ევროპულ დედაქალაქებში, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივანიშვილი ახალ გუნდს აყალიბებს?!

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა გაუსაძლისი ხდება“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებები შედის. თანამდებობის პირის თანამდებობაზე არჩევისა და თანამდებობიდან გადაყენება ფარული კენჭისყრიდან ღია კენჭისყრის წესით იცვლება. როგორ ფიქრობთ, რეალურად რა შეიძლება იყოს ამ ცვლილების მიზეზი?***

– ძალიან მარტივად დგას საკითხი. აშკარაა, რომ „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით მთლად კარგად ვერ არის საქმე. როგორც ჩანს, ორი ირაკლი ვერ აკონტროლებს სიტუაციას ბოლომდე. ხელისუფლებას ეშინია, გუნდის შიგნით ფარული დაუმორჩილებლობის. ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რეგლამენტი შეცვალონ და ამ გზით შეეცდებიან გუნდის გაკონტროლებას.

ხომ იცით, შიშს ფართო თვალები აქვს. სამართლიანად ეშინია ბიძინა ივანიშვილს. ყველა არ ჩაყვება საფლავში „ქართულ ოცნებას“. ამიტომ ტოტალური კონტროლი დაიწყება. გუნდის შიგნით გაუსაძლისი მდგომარეობა იქნება. გუნდის იმ წევრების მიმართ, ვინც ოდნავ განსხვავებულად დაიწყებენ ფიქრს ან გვერდზე გაიხედავენ, სადამსჯელო ოპერაციები განხორციელდება.

რაც შეეხება რეგლამენტის ცვლილებას, არ გამოვრიცხავ, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხსაც უკავშირდებოდეს. თუმცა, მე ბოლომდე არ მჯერა ამ თამაშის.

როგორც ჩანს, ფარცხალაძის, მოსამართლეების დასანქცირება გუნდში ვილაცეებისთვის შეიძლება წყალგამყოფიც კი იყოს. შეიძლება მთლად ღიად არა, მაგრამ ფარულად წინააღმდეგნიც კი იყვნენ რაღაცეების, ამიტომ გადაწყვიტეს ტოტალური კონტროლი. აბა, ოპოზიციის ქმედებისთვის კი არ იგეგმება ცვლილებები რეგლამენტში. ერთმანეთი რომ გააკონტროლონ, ამიტომ იგეგმება. აქ ორი აზრი არ არის.

გაჩნდა შიში, ვაითუ ვილაცეებმა მოინდომონ გემიდან გადახტომა.

***– რატომ, ფიქრობთ, გემი იძირება?***

– რასაკვირველია! გარდაუვალია „ქართული ოცნების“ ჩაძირვა. ყველა ლონეს ხმარობენ, რომ ეს არ მოხდეს, მაგრამ გარდაუვალი წაგების ზვავი ისე მოდის, რომ ველარაფერი შეაჩერებს.



***– რამდენად არის მოსალოდნელი წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ გაყოფა? არის მოსაზრება, რომ ერთგვარი პოლიტიკური მანევრი მოხდეს.***

– მე პირადად ასეთ მანევრს გამოვრიცხავ. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ გაიყო და ცალკე გავიდა „ხალხის“ თუ რუსული ძალა, არ მგონია, კიდევ იგეგმებოდეს სხვა რამე.

***– გუნდის შიგნით დაპირისპირება?***

– არა, არა, არანაირი დაპირისპირება არ ჩანს. ჩანს, რომ ადამიანებს არ სურთ ფარცხალაძის, მურუსიძის ბედის გაზიარება და მზად არიან, უარი თქვან დაკვეთის ბოლომდე შესრულებაზე. დღეს შიში, დიდი შიში იკითხება „ოცნების“ თვალებში. თვითგადარჩენისთვის ბრძოლა უფროა ეს, ვიდრე დაპირისპირება და იდეალებისთვის ბრძოლა. სადღაა იდეალები! სად აქვთ ამ ადამიანებს იდეალები! ჩვეულებრივი მონები არიან, რომლებიც ახლა უკვე თვითგადარჩენისთვის იბრძვიან.

ეროვნულ ბანკში განვითარებული მოვლენები კარგად ასახავს მთელ ამ სურათს. რა მოხდა ეროვნულ ბანკში?! თვითგადარჩენისთვის ადამიანებმა უარი თქვეს უკანონობაზე. ამიტომ ყველა ვიცე-პრეზიდენტი და სხვა მაღალი თანამდებობის პირი გადადგა. ამ სურათის გამეორების ეშინიათ. იციან, რომ ეს კატასტროფა იქნება. ამიტომ, მზად არიან, ყველა ზომა მიიღონ.

შეიძლება „ქართულ ოცნებაში“ გაუსაძლისი გახდეს ყოფნა.

***– „ქართული ოცნების“ ლიდერები ასე არ ფიქრობენ. ისინი არჩევნების კიდევ ერთხელ მოგებაზე საუბრობენ.***

– აბა, რას იტყვიან. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილმა ახალი გუნდი წარმოადგინოს და საერთოდ უარი თქვას „ოცნებაზე“. „ოცნება“ უკვე წარსულია. შეუძლებელია, მან რამე მოიგოს.

# ლევან ხაბეიშვილი: „სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის ორი სათამაშოა ერთ ხელში“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის განცხადებით, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა ბიძინა ივანიშვილის გარდა არავის აინტერესებს.



მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს და სხვა ოპოზიციურ პარტიებსაც ამას მოუწოდებს.

– არა ერთხელ, ათჯერ, ათასჯერ მითქვამს, სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი კობახიძე არის ბიძინა ივანიშვილის ორი სათამაშო ერთ ხელში. ჩვენ ამ პროცესში მონაწილეობას არ ვიღებთ, მეტიც, საჯაროდ ნახეთ რაღაც პრეზიდენტის კეკლუცი ბიძინა ივანიშვილის სასახლესთან, ვინმეს თუ წარმოდგენები აქვს, რომ ბიძინა ივანიშვილს არ ხვდება ან დირექტივებს არ იღებს, ეს მისი აღქმების პრობლემა შეიძლება იყოს.

ჩვენ გვაქვს კონკრეტულად ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ ეს რაღაც მოგონილი იმპიჩმენტი, რომელიც არავის აინტერესებს, გარდა ბიძინა ივანიშვილისა, რომელიც ქვეყნის გარეთ აზიანებს კანდიდატის სტატუსმ და ქვეყნის შიგნით ცდილობს, სალომე ზურაბიშვილისგან რაიმე პოლიტიკური „აჯენდა“ გამოძერწოს. ჩვენ არ ვიღებთ ამაში მონაწილეობას, ნაციონალური მოძრაობა არ შევა ამ სხდომაზე და მეტიც, სხვებსაც მოვუწოდებ, კონკრეტული სპეკულაციები რომ არ იყოს, მონაწილეობა ამ კენჭისყრაში არ მიიღონ.

არ მგონია, ეს 5 პროცენტი, რომლის დაკლებასაც აპირებენ ხელფასიდან, ვინმესთვის ისეთი მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ მე აქედან მინდა ვუთხრა ყველას, რომ თუ მხოლოდ ეს არის პრობლემა, „ნაციონალური მოძრაობა“ მზად ვართ, ავიღოთ ეს ხარჯი ჩვენს კისერზე. არ დარჩეს არც ერთი კითხვა სასპეკულაციოდ, რომ ქვეყნის კანდიდატის სტატუსს დაემუქროს საფრთხე, რასაც ახლა ბიძინა ივანიშვილი ამ პროცესით აკეთებს, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

# ისრაელში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა

ისრაელში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. შესაბამისი გადაწყვეტილება ქვეყნის უსაფრთხოების კაბინეტმა მიიღო, ხოლო ინფორმაციას პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ხელისუფლების თქმით, საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ შეუძლიათ „საომარ მოქმედებებზე გადასვლა“, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამის ქმედებებზე გადასვლა ქვეყანას არ შეუძლია იქამდე, სანამ ხელისუფლების გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის შესახებ არ იქნება მიღებული.

ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ქვეყნის მასშტაბით ყველა სკოლა უახლოეს დღეებში იქნება დახურული. შეზღუდვები სამშაბათამდე, 18:00 საათამდე იმოქმედებს, თუმცა, სავარაუდოდ, გახანგრძლივდება.

ასევე გარკვეული შეზღუდვები არის მიღებული საჯარო სივრცეში შეკრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ღია სივრცეში დაშვებულია მხოლოდ 10 ადამიანამდე შეკრება, ხოლო შენობაში 50-მდე.

# საქართველოში ისრაელის ელჩი განცხადებას ავრცელებს



– ჩვენ ძალიან ვაფასებთ ისრაელის მიმართ ქართველი ერის ძლიერ მხარდაჭერას, ეს არის ინდიკატორი მეგობრობისა, რომელიც ორ ერს შორის არსებობს, – ამის შესახებ საქართველოში ისრაელის ელჩმა, ჰადას მეიცადმა განაცხადა.

მისივე თქმით, მადლობას უხდის ქართველ ხალხს.

– ჩვენ ვიხილეთ ძალიან მკაფიოდ დაგმობა და სოლიდარობის გამოხატვა საქართველოს ხელისუფლებისგან, პრეზიდენტისგან, პრემიერისგან, პარლამენტის სპიკერისგან, საგარეო საქმეთა სამინისტროსგან. ვიღებ უამრავ მესიჯს, ზოგს პირადად, ზოგს ონლაინ ფორმატში, პოლიტიკური პარტიების ლიდერებისგან, მეგობრებისგან, ბიზნესმენებისა თუ კულტურის სფეროს წარმომადგენლებისგან. თუმცა, ზოგადად თუ ვიტყვით, ეს არის ძლიერი მხარდაჭერა ქართველი ერისგან ისრაელის მიმართ და ჩვენ ძალიან ვაფასებთ ამას. მადლიერი ვარ თითოეულის, ვინც დრო დაუთმო და დაპოსტა, გამოგზავნა შეტყობინება და გამოხატა სოლიდარობა ჩვენთან ამ რთულ დროს. ეს მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, ეს არის ორგანული და ბუნებრივი ინდიკატორი მეგობრობისა, რომელიც ორ ერს შორის არსებობს, – განუცხადა საქართველოში ისრაელის ელჩმა, ჰადას მეიცადმა საქართველოს პირველ არხს.

# სალომე ზურაბიშვილს საქართველოში ილჰამ ალიევის ვიზიტზე ინფორმაცია არ ჰქონდა



აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი თბილისშია. ცნობილი ხდება, რომ აზერბაიჯანელი კოლეგის საქართველოში ვიზიტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტს ინფორმაცია არ ჰქონია. ამის შესახებ ცნობებს სალომე ზურაბიშვილის ადმინისტრაციაში ადასტურებენ. შესაბამისად, ალიევი და ზურაბიშვილი დღეს ერთმანეთს არ შეხვდებიან.

– პრეზიდენტი ჩამობრძანდა, როგორც წინა შემთხვევაში, საქართველოში, გამართა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან სამუშაო შეხვედრა და ეს არის მოცემულობა დღეს. ეს ურთიერთობები გაგრძელდება, – ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი.

# ვინ არიან ისრაელში დაღუპული ქართველი ებრაელი ოფიცრები



ისრაელის თავდაცვის ძალებმა ჰამასის თავდასხმის შედეგად დაღუპული ოფიცრების ვინაობა გამოაქვეყნეს.

ამ დროისთვის ცნობილია ისრაელის პოლიციის 32 ოფიცრის ვინაობა, მათ შორის ორი ქართველი ებრაელია: ისაკ ბაზუკაშვილი და აბრამ ჰოვლაშვილი.

ჰამასის თავდასხმის შედეგად ისრაელში დაღუპულთა რიცხვმა 600-ს გადააჭარბა.

უწყების ცნობით, დაღუპულთა შორის ათობით სამხედრო და პოლიციელია, რომლებიც შეტაკების დროს დაიღუპნენ.

რაც შეეხება დაშავებულთა რაოდენობას, საავადმყოფოებში 2.048 ადამიანია გადაყვანილი, მათ შორის 20 მოქალაქის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა.

# რა არის ჰამასი?

ჰამასი აკრონიმი, სრული სახელი – „harakat al-muqavamah al-islamiiah-ისა“ პირდაპირი თარგმანი, როგორც „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა“. ეს არის ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც მართავს ღაზას სექტორს.

ჰამასი ღაზას 365 კვ/კმ ტერიტორიას აკონტროლებს, სადაც 2 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს. ჰამასი ტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული ევროკავშირის, კანადის, აშშ-სა და ისრაელის მიერ და მისი თავდასხმები ისრაელის მოქალაქეებზე და სხვა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები დაგმობილ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის, საერთაშორისო ამნისტიისა და ჰუმან რაითს ვოჩის მიერ.

ჰამასს მხარს უჭერს ირანი, რომელიც მათ იარაღით უზრუნველყოფს და მათი მებრძოლების წვრთნებს აფინანსებს.

# რა არის ღაზას სექტორი?

ღაზას სექტორი არის 41 კმ (25 მილი) სიგრძის და 10 კმ სიგანის ტერიტორია ისრაელს, ეგვიპტესა და ხმელთაშუა ზღვას შორის. სადაც დაახლოებით 2,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

გაეროს მონაცემებით, ღაზას მოსახლეობის დაახლოებით 80% დამოკიდებულია საერთაშორისო დახმარებაზე. ერთი მილიონი ადამიანი ყოველდღიურად სხვადასხვა დახმარებებით მიღებულ საკვებზეა დამოკიდებული.

2005 წელს ისრაელმა მთლიანად დატოვა ღაზის სექტორი, იქიდან გამოასახლა თავისი მოქალაქეები და გამოიყვანა საარმიო დანაყოფები, რის შემდეგაც ღაზის სექტორს ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით გამყოფი კედელი შემოარტყა.

# ცნობილი ფეხბურთელი, ლიორ ასულინი, “Nature party-ის“ მუსიკალური ფესტივალის მონაწილეთა ცხედრებს შორის იპოვეს



ცნობილი ისრაელელი ფეხბურთელი, ლიორ ასულინი „Nature party-ის“ მუსიკალური ფესტივალის მონაწილეთა ცხედრებს შორის იპოვეს.

– მისი გაუჩინარებიდან მრავალი საათის შემდეგ შეგვატყობინეს და დიდი მწუხარებით გაუწყებთ, რომ რეიმში ფესტივალზე მყოფი ჩვენი ყოფილი მოთამაშე ლიორ ასულინი ტერორისტებმა მოკლეს, – აცხადებს თელ-ავივის საფეხბურთო კლუბი „ჰაპოელი“.

# პრეზიდენტი პრემიერს რა შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს?!

მარიამ მჭედლიშვილი



## პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი

საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას (დასკვნით სიტყვას) სალომე ზურაბიშვილის იმპიმენტზე 14 ოქტომბრამდე გამოაცხადებს.

პრეზიდენტის საიმპიჩმენტო წარდგინების განხილვა 3 ოქტომბერს დაიწყო და სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში საკითხი პარლამენტში გადადის. საპარლამენტო უმრავლესობას იმპიჩმენტისათვის საჭირო ხმები (100 ხმა) არა აქვს. ამის მიუხედავად, ბევრი კომენტატორი ვარაუდობს, რომ „ქართული ოცნება", როცა იმპიჩმენტის საკითხი დადგება, კენჭისყისას საჭირო მანდატების მოპოვებას ოპოზიციის ხარჯზე მოახერხებს და პრეზიდენტს გადააყენებს.

გახარიას გუნდი დარწმუნებულია, რომ უმრავლესობა იმპიჩმენტის საკითხზე ნაცმოძრაობას გაურიგდება. გუნდი ლაპარაკობს „გამარჯვების პლატფორმის" ლიდერების მხრიდან სიტყვიერ თავდასხმებზე, სალოზე ზურაბიშვილის მიმართ დაწყებული იმპიჩმენტის პროცესის მიუხედავად. ნაცმოს გაცხადებული აქვს, რომ კენჭისყრის დროს დარბაზიდან გავა. პარტია „საქართველოსთვის" (გახარიას გუნდი) ამბობს, რომ აქვს ინფორმაცია მმართველ პარტიასა და ნაცმოძრაობის შორის მიმდინარე ფარული მოლაპარაკებების თაობაზე.

ნაცმოძრაობის წევრები ირწმუნებიან, რომ „ოცნების" სასარგებლოდ გახარიას პარტია მუშაობს. მაგალითად, ასახელებენ იმას, რომ გახარიას გუნდელი ხოჯევანიშვილის პარლამენტიდან წასვლას (მან დეპუტატის მანდატი დატოვა) მოჰყვა „ქართული ოცნების" რიგების შევსება. შუალედური არჩევნების შედეგად „ოცნებას" მანდატები 88-დან 89-მდე გაეზარდა.

„ქართული ოცნება" იმას ამტკიცებს, რომ ერთმანეთთან გარიგებული ნაცმოძრაობა და „საქართველოსთვის" არიან.

თავად პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სასამართლოში არ გამოცხადებულა, მან იქ თავისი წარმომადგენლები – იურისტები მაია კოპალეიშვილი და თამარ ჩუგოშვილი მიავლინა.

მოსარჩელეები, ანუ მმართველი პარტიის ლიდერები, განხილვისას იმეორებდნენ, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია, როცა მთავრობის ნებართვის გარეშე მოაწყო ევროპული ტურნე.

მოპასუხეებს თავისი არგუმენტები ჰქონდათ. მათი განმარტებით, პრეზიდენტს აქვს სამუშაო ვიზიტებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობის უფლება. მოსარჩელე მხარე გეოგრაფიაზე აპელირებს. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილს აუკრძალეს ბულგარეთში ჩასვლა და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა. მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტი ამ ბულგარელ პოლიტიკოსს თბილისში უპრობლემოდ შეხვდა.

სხვა იურისტების აზრით, 52-ე მუხლი, რომლის დარღვევასაც პრეზიდენტს ედავებიან, ბუნდოვანია და არ განმარტავს, რა შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს ან არ დაემორჩილოს პრეზიდენტი პრემიერს.

– როდესაც პრეზიდენტი საუბრობს საგარეო ურთიერთობებზე, როგორც ქვეყნის წარმომადგენელი პირი, ყველაფერზე არ სჭირდება თანხმობა (მთავრობის თანხმობა). თანხმობა სჭირდება ისეთი უფლებამოსილებების განხორციელების დროს, როდესაც რომელიმე ხელშეკრულებას თანხმობა უნდა მისცე, – განმარტავს პარტია „სამართლიანობისათვის" ლიდერი ეკა ბესელია, რომელიც მონაწილეობდა მოქმედი კონსტიტუციის შემუშავებაში.

ეკა ბესელიაც აცხადებს, რომ სალომე ზურაბიშვილს კონსტიტუცია არ დაურღვევია.

ამ დღეებში საზოგადოების უმრავლესობაში განმტკიცდა მოსაზრება, რომ სალომე ზურაბიშვილს უსაფუძვლოდ ერჩიან: ის ან დაუმორჩილებლობისთვის ისჯება, ან პრეზიდენტის თანამდებობა ვიღაცას ვადაზე ადრე დასჭირდა.

ზურაბიშვილი პირდაპირი წესით არჩეული ბოლო პრეზიდენტია. მომდევნოს 300-კაციანი კოლეგია ირჩევს.

არსებობს ვერსია, რომ პრეზიდენტის პოსტი ხელსაყრელია ბიძინა ივანიშვილისათვის. ის მას გარკვეულ იმუნიტეტს მისცემს. გამოითქმის მოსაზრებაც, რომ პრეზიდენტად შეიძლება ირაკლი კობახიძე მოგვევლინოს.

ამაზე პარტია „ხალხისათვის" ლიდერმა ანა დოლიძემაც ისაუბრა.

– არის ჭორები, რომ ირაკლი კობახიძეს პრეზიდენტობა უნდა და თუ ეს მართალი აღმოჩნდება, მაშინ, ალბათ, ეს არის მზადება „ქართული ოცნების" მარცხისათვის 2024 წლისთვის. თუ ვინმე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება" ისევ იმარჯვებს 2024 წელს, მაშინ ის სამსახურს არ უნდა ეძებდეს, – თქვა ანა დოლიძემ.

კობახიძემ ჟურნალისტებთან კომენტარში მომავალში საკუთარი პრეზიდენტობა გამორიცხა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები არ აძლევს მას საშუალებას, ჩართული იყოს აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში.

• • •

## პრეზიდენტი ვეტოს დაადებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონს

პარლამენტის უმრავლესობამ დაჩქარებულად მიიღო ცვლილებები მოქმედ კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ". ამას თან ახლდა პროტესტი ქუჩაში და ოპოზიციის წინააღმდეგობა. ოპოზიციამ პრეზიდენტს მოუწოდა, ამ ცვლილებებს ვეტო დაადოს.

ცვლილებებით ზუსტდება, რა შემთხვევაში ვერ მოაწყობენ პროტესტანტები დროებით კონსტრუქციებს.

ნორმების დარღვევა გამოიწვევს სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას და 500-ლარიან ჯარიმას, ან საგნის 15 დღით კონფისკაციას და ადმინისტრაციულ პატიმრობას.

თუ დამრღვევი შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორია, მის მიმართ გამოიყენებენ 5.000-ლარიან ჯარიმას და საგნის კონფისკაციას, ან კონფისკაციას 15 დღის ვადით და ადმინიტრაციულ პატიმრობას.

მმართველი პარტიის ლიდერმა კობახიძემ (მისი მტკიცებით, ხუმრობით) განაცახდა, რომ კანონი პრეზიდენტთან არ გაიგზავნება და მისი ხელმოწერის გარეშე შევა ძალაში.

ამას მოჰყვა პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ „საპარლამენტო უმრავლესობის არასერიოზული და ცინიკური განცხადებები საზოგადოების უპატივცემულობაა".

ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" ხსენებულ კანონს ვეტოს დაადებს.

ადმინიტრაციამ ხალხს შეახსენა სალომე ზურაბიშვილის დაპირება იმის შესახებ, რომ ის ვეტოს დაადებს ყველა კანონს, „რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის დემოკრატიულ მშენებლობას და ევროკავშირის რეკომენდაციების სულისკვეთებას".

ირაკლი კობახიძემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იხუმრა.

• • •

## „ოჩამჩირეში ბაზის გახსნა დიდი ნაღმია"

ოკუპანტი რუსეთის პრეზიდენტ პუტინისა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერ ასლან ბჟანიას შეხვედრის შემდეგ გამოცხადდა, რომ ოჩამჩირეში იქმნება რუსეთის სამხედრო საზღვაო ბაზა. ბჟანიას განმარტებით, ყალიბდება რუსეთის სამხედრო-საზღვაო გემების ბაზირების მუდმივი პუნქტი.

საქართველოს საგარეო უწყების შეფასებით, ეს ნაბიჯი „მიმართულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაციის ლეგიტიმაციისკენ".

– მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საერთაშორისო ვალდებულებებს, შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, – განაცხადა საგარეო სამინისტრომ.

საკითხს გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი.

– ოჩამჩირეში რუსული სამხედრო საზღვაო ბაზის გახსნა დიდი ნაღმია შავი ზღვის უსაფრთხოების, ხვალინდელი ანაკლიის პორტისა და საქართველოს ევროპული გზისთვის, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.



მან პარტნიორებს რეაგირებისკენ მოუწოდა.

რუსეთის ამ გეგმების გამო „ძლიერი შეშფოთება" გამოხატა ევროკავშირმა, რომელმაც ეს საქართველოს სუვერენიტეტის შელახვად და 2008 წელს ნაკისრი ვალდებულებების დარღვევად შეაფასა.

– თუ რუსეთი გააგრძელებს ხსენებული გეგმების განხორციელებას, ეს კიდევ უფრო გაზრდის დაძაბულობას რეგიონში და სტაბილურობას მეტ საფრთხეს შეუქმნის, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესი წამომადგენლის პრესსპიკერმა.

რუსული მედიის შეფასებით, ამ ქმედებით რუსეთი შეძლებს არა მხოლოდ გემების დაშორიშორებას, არამედ, „ორი ქვეყნის" (ავტორები აფხაზეთს ქვეყნად მოიხსენიებენ) უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

კრემლის განზრახვები გახმაურდა იმ მომენტში, როცა ბევრი ანალიტიკოსი ალაპარაკდა რუსეთის ფაქტობრივ გასვლაზე სამხრეთ კავკასიიდან. როგორც ჩანს, კრემლი ამტკიცებს, რომ რეგიონში რჩება. ამასთან, უკრაინამ, რომელსაც ფლოტი არც კი ჰყავს, სხვა საშუალებებით საგრძნობლად შეავიწროვა რუსეთის ფლოტი შავი ზღვის გარკვეულ აკვატორიაში და აგრესორმა გემების დაბანაკება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში გადაწყვიტა.

ბაზის შესახებ განცხადებას წინ უძღოდა სოჭის დიალოგი.

3 ოქტომბერს სოჭში ოკუპანტი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეჟიმების დე ფაქტო პრეზიდენტებსა და ე.წ. საგარეო მინისტრებს შეხვდა.

მანამდე გაირკვა, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში პანიკური განწყობაა, აფხაზებსა და ოსებს ყარაბაღის ისტორიის გამეორება აშინებთ.

ლავროვმა საოკუპაციო რეჟიმებს ფინანსური პროგრამების გაგრძელება და სამხედრო-უსაფრთხოების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა აღუთქვა. ამის შემდეგ ბჟანიამ გამოაცხადა, რომ ოჩამჩირეში რუსული საზღვაო ბაზა იქმნება.

ასლან ბჟანიამ საქართველოს ხელისუფლების პრაგმატულობა ახსენა და დასძინა, რომ პრეზიდენტს არ გულისხმობს.

სამართალი

## რუსთავის ბინაში კაცი გარდაცვლილი ნახეს

„ინფო რუსთავის" ინფორმაციით, რუსთავში, მეგობრობის ქუჩის მიმდებარედ, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ბინაში კაცი გარდაცვლილი ნახეს.

არსებული ინფორმაციით, კაცს ახლობლები ვერ უკავშირდებოდნენ და ბინაში შესვლის მიზნით სამაშველო სამსახური გამოიძახეს. ბინაში შესულ მაშველებს 40 წლამდე ასაკის კაცი გარდაცვლილი დახვდათ. ადგილზე მობილიზებული იყო კრიმინალური პოლიცია. სხვა ინფორმაცია უცნობია.

## როგორ სძალავენ პატიმრებს საქართველოში ფულს

„ქურდული სამყაროს" შავი ბუღალტერია – რა სქემით სძალავენ პატიმრებს საქართველოში ფულს და როგორ აგროვებენ საბანკო ანგარიშებზე ე.წ. ქურდულ „ობშიაკს".



„შაბათის ეთერის" ინფორმაციით, დაკავებულია გეგუთის ციხის ე.წ. მაყურებელი მანუჩარ გაბუნია, იგივე „მანჩო", განსასჯელის სკამზე ზის „მანჩოს" ცოლი.

გამოძიების ინფორმაციით, ათობით საბანკო ანგარიშიდან „ქურდული საერთოს" ფული ია ბერაიაზე ირიცხებოდა.

პროკურატურა კი ამტკიცებს, რომ „კანონიერი ქურდების" წარმომადგენელმა ციხეში, პატიმრების რეკეტისა და ფულის შეგროვების მთელი სქემა შექმნა, ამ ყველაფერში კი მთავარი თანამზრახველი მისი ცოლი იყო. ია ბერაია ქურდული „ობშიაკის" შეგროვების ბრალებით რვა თვის წინ დააკავეს და ციხეში 15 წლის გატარება ემუქრება.

ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი „მანჩო" ფოთელი „კანონიერი ქურდების" – „ბონჩოს" და „როკოს" დაჯგუფების წევრია. პროკურატურის მასალებში, რომელიც „შაბათის ეთერმა" მოიპოვა, გაშიფრულია „ქურდული საერთოს" შეგროვების მთელი სქემა. საბოლოოდ ფული, რომელსაც პატიმრობის ოჯახის წევრებს არიცხინებდნენ, ძმებ ბაირამიდებთან და სოხუმელ „ქურდ" ირაკლი ყალიჩავასთან მიდიოდა.

ირკვევა, რომ „კრიმინალური ავტორიტეტები" ფულს საბანკო ანგარიშებზე აგროვებდნენ, კვალის არევის მიზნით კი ამ სქემაში ჩათრეული იყო ათობით მოქალაქე. სქემა ასე მუშაობდა – გეგუთის ციხის მაყურებელმა „მანჩომ" მისი ნდობით აღჭურვილ 11 პატიმარს „ქურდული საერთოსთვის" ფულის ჩასარიცხად ნათესავების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების ანგარიშების მოძიება მოსთხოვა.

რეკეტის შედეგად მითითებულ ანგარიშზე ფულის ჩარიცხვას პატიმრები მათ ოჯახის წევრებს სთხოვდნენ, საბოლოოდ ფულს „მაყურებლის" ცოლი, ია ბერაია ანაღდებდა, შუამავალ ირაკლი ჩხენკელს გადასცემდა, რომელსაც უკვე თანხა ჩანთით თურქეთში „ქურდებთან" მიჰქონდა.

სატელეფონო საუბრის ჩანაწერებით დგინდება, რომ ე.წ. ქურდული „ობშიაკისთის" ჩარიცხულ ფულს ე.წ. ავტორიტეტი მანუჩარ გაბუნია ციხიდან ითვლიდა, ის საპატიმროდან ცოლს ყოველდღიურად ურეკავდა და აღრიცხავდა ვინ, როდის და რამდენი ჩარიცხა ანგარიშზე.

ციხიდან ე.წ. ქურდული საერთოს შესაგროვებლად „მაყურებლები" იყენებდნენ ხელოსნების, პენსიონერების, სტილისტებისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანების პირად ანგარიშებს.

## „თოკით აბამდა და სცემდა" — რას აცხადებს მოკლული 14 წლის გოგოს ოჯახი



მოკლული 14 წლის გოგოს დედა ამტკიცებს, რომ მისი შვილი სასიძომ იძულებით წაიყვანა და თვეების განმავლობაში ძალადობის მსხვერპლი იყო. მამაკაცი არასრულწლოვან საცოლეს თოკით აბამდა და სცემდა.

– სულ მოდიოდა და არ ეშვებოდა გოგოს. ერთი გოგო ძროხის მოსაყვანად გარეთ იყო გასული, ბიჭი მისულა და უცებ ჩაუსვამს მანქანაში. გოგო გაქცევას ცდილობდა, თუმცა, ამ გოგომ ამის საშუალება არ მისცა და სცემა. შემდეგ გოგონა გაიქცა, თუმცა, კაცმა დაიჭირა და თოკით წამოათრია სახლში. ასე დამღუპა და გამინადგურა ცხოვრება მაგ არაკაცმა. არადა, გოგო სულ ეუბნებოდა, რომ არ უყვარდა, – ამბობს ოჯახი.

დმანისში მოკლულ გოგონას გლოვობენ, მისი ნათესავები დამნაშავის უმკაცრესად დასჯას ითხოვენ, ისინი თავს იმართლებენ და ამბობენ, რომ თავად არაფერი ჩაუდენიათ. ვერ აანალიზებენ, რამდენად მძიმე დანაშაულს შეუწყვეს ხელი, როდესაც ამ ყველაფერს ორი თვის განმავლობაში მალავდნენ.

გარდაცვლილი გოგო კი მშობლიურ სახლში, დმანისში უკვე გადაასვენეს.

ამ დრომდე მძიმე დანაშაულში მხილებული კაცი გაქცეულია. პოლიცია მის კვალზე ისევ ვერ გადის. გავრცელებული ინფორმაციით, მას თან აქვს დანაშაულის იარაღიც.

როგორც გაირკვა, სოფელ ლამბალოში იძულებით ქორწინებაში მყოფი მოზარდი, ე.წ. ქმარმა საკუთარ ბიძაშვილთან საქორწილო საჩუქრის გადასაცემად წაიყვანა, აგრესიული კი მას შემდეგ გახდა, რაც მოზარდმა ორთვიანი ტყვეობიდან თავის დაღწევა კიდევ ერთხელ სცადა. ამ დროს კაცმა იარაღი ამოიღო და მსხვერპლს ეზოში ესროლა.

# ლავრენტი ბერია და პარტიზანული მოძრაობა

**1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა სსრკ-ს. ჰიტლერული ვერმახტი სწრაფად მიიწევდა წინ. მალე სსრკ-ს ევროპული ნაწილი გერმანელთა მიერ აღმოჩნდა ოკუპირებული. საბჭოთა იმპერია სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.**

სტალინი ჩვეული ენერგიითა და დაუნდობლობით შეუდგა იმპერიის დაცვას. შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ბერიაც შეიყვანეს. სტალინის ბრძანებით, უშიშროება კვლავ დაბრუნდა შინსახკომის შემადგენლობაში. გაერთიანებული უწყების სათავეში კვლავაც ბერია დარჩა, უშიშროების შეფი მერკულოვი კი მისი პირველი მოადგილე გახდა. სტალინმა თავის საიდუმლო პოლიციას დააკისრა ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანული მოძრაობის გაშლა.

სტალინური გეგმის თანახმად, პარტიზანები ვერასოდეს გადაიქცეოდნენ რეგულარულ არმიად. სტალინს არ აშფოთებდა, რომ დივერსიების პასუხად გერმანელები მასობრივად დაიწყებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვას. პირიქით, ეს გაამძაფრებდა ანტიფაშისტურ განწყობილებებს და ხალხი წითელ არმიას ისე შეხვდებოდა, როგორც განმათავისუფლებელს. სტალინისთვის მთავარი სწორედ ეს იყო.

განსაკუთრებული ჯგუფიდან მე-4 სამმართველომდე 1941 წლის ზაფხულში უშუალოდ ბერიასთან იქმნება განსაკუთრებული ჯგუფი, რომლის ამოცანა იყო მტრის ზურგში დივერსიული საქმინობის ორგანიზება. მის სათავეში ბერიამ გამოცდილი პავლე სუდოპლატოვი დანიშნა. განსაკუთრებული ჯგუფის განკარგულებაში გადაიცა შეიარაღებული ძალაც. თავის მემუარებში სუდოპლატოვი აღწერს საუბარს ბერიასთან, რომელიც მომავალ დივერსიულ საქმიანობას შეეხებოდა:

– ლავრენტი პავლოვიჩ, წარმატების მისაღწევად აუცილებელია უშიშროებაში ძველი, გამოცდილი კადრების დაბრუნება.

– ვინ გყავთ მხედველობაში?

– ამხანაგები, რომლებმაც კარგად იბრძოლეს სამოქალაქო ომში, მაგრამ შემდეგ ჩაიდინეს დანაშაული და სამართლიანად დაისაჯნენ. ვფიქრობ, უნდა მივცეთ ცოდვების გამოსყიდვის საშუალება.

– თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ხალხი გვჭირდება? – უკმაყოფილოდ მოიღუშა ბერია.

– დიახ, ლავრენტი პავლოვიჩ.

– რა გაეწყობა, მოამზადეთ სია.

მალე სუდოპლატოვმა გადასცა ბერიას იმ ჩეკისტთა სია, რომლებიც უშიშროებაში უნდა დაებრუნებინათ. ბერიამ ის უხმოდ გამოართვა, ყურადღებით გაეცნო, შემდეგ ანიშნა სუდოპლატოვს, რომ წასულიყო. ხსენებული სია ბერიამ მაგიდაზე დაუდო სტალინს.

– ამ ხალხმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ომის დროს, ვფიქრობ, უნდა გამოვიყენოთ მათი ცოდნა და გამოცდილება.

– შენ მათ ენდობი, ლავრენტი?

– ვფიქრობ, რომ მათი გამოყენება შეიძლება.

– მაშ, რატომ არ აღადგინე სამსახურში? – სტალინი გესლიანად მოიღუშა, – ეს ხომ შენს კომპეტენციაშია! აკი პარტიამ განდო შინსახკომის ხელმძღვანელობა!

– გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვათ თქვენ, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, – ბერიამ მოწიწებით დახარა თავი.

სტალინი კვლავ გესლიანად იღიმებოდა.

– გარკვევით მითხარი, რას გვთავაზობ?

– ვფიქრობ, ეს ხალხი უნდა აღვადგინოთ, მაგრამ დაქვეითებით. მათ უნდა იცოდნენ, რომ დამნაშავეები არიან პარტიისა და ქვეყნის წინაშე, რომ სწორედ პარტია აძლევთ საშუალებას, გამოისყიდონ ჩადენილი დანაშაული.

– კეთილი, ლავრენტი, – სტალინს სახიდან ღიმილი გაუქრა, – ასე იყოს.

მალე ძველი ჩეკისტების მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც აღადგინეს, ოღონდაც დაქვეითებით. მათ შორის იყვნენ ლეგენდარული იაკობ სერებრიანსკი (ჯერ კიდევ 20-იან წლებში შექმნა საზღვარგარეთ მოქმედი ტერორისტული ჯგუფები) და დიმიტრი მედვედევი, (ფსევდონიმი ტიმოფეი), შემდგომში ცნობილი პარტიზანი-მეთაური. მედვედევის უფროსი ძმა 1936 წელს დააპატიმრეს და გულაგში მოათავსეს. თავად მედვედევი სასწაულით გადაურჩა დაპატიმრებას. ის სამუშაოდ შორეულ ნორილსკში გაგზავნეს, 1939წელს კი საერთოდ დაითხოვეს უშიშროებიდან.

განსაკუთრებული ჯგუფის საქმიანობა უფრო ეფექტური გახდა. 1942 წელს მის ბაზაზე შეიქმნა მე-4 სამმართველო. მის უფროსად ბერიამ კვლავაც სუდოპლატოვი დატოვა. სუდოპლატოვის ერთ-ერთი მოადგილე ვ.კაკუჩაიაც იყო.

გერმანელთა ზურგში დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობა ფართო მასშტაბით წარიმართა.

❖ ❖ ❖

## სტალინი-ბერია-კოვპაკი

ბერიას სულ უფრო აშფოთებდა უკრაინაში შექნილი მდგომარეობა. 1942 წელს მან ამომწურავი ინფორმაცია მიართვა სტალინს, სადაც ნათქვამი იყო:

– გერმანელთა სისასტიკემ მათ წინააღმდეგ მასობრივად აამხედრა უკრაინელები. ამის გამოყენებას ცდილობენ ნაციონალისტები, მხედველობაში მაქვს ბანდერას დაჯგუფება. მათ უკვე შექმნეს შეიარაღებული ფორმირებები და საბჭოთა მოქალაქეების ტერორიზება დაიწყეს. ამ საშიში ბანდიტების საქმიანობა საფრთხეს უქმნის ჩვენი სამშობლოს ერთიანობას. ბანდერელთა წინააღმდეგ ახლავე უნდა გატარდეს ყველაზე რადიკალური ზომები.

– მხოლოდ ბანდერელთა წინააღმდეგ? – დაინტერესდა სტალინი.

– რასაკვირველია, არა. ზომები უნდა გატარდეს ყველა უკრაინული ბანდიტური დაჯგუფების მიმართ. მათგან ყველაზე საშიშ ძალას ბანდერელები წარმოადგენენ.



– რის გაკეთებას გვთავაზობთ?

– წითელ პარტიზანებს შორის უნდა მიიძებნოს კაზაკი ბატკო, რომელიც წაართმევს ბანდერელებს ინიციატივას. უკრაინელებს ხომ ატამანშჩინა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი.

– კეთილი, მოძებნეთ ბატკო, ოღონდ თუკი ექსპერიმენტი ჩაფლავდა, პასუხს გაგებინებთ.

ბერიამ მალე იპოვა სასურველი პირი. მართალია, კანდიდატურთა რამდენიმე იყო, მაგრამ ის სიდორ კოვპაკის პერსონაზე შეჩერდა. ომამდე კოვპაკი პატარა ქალაქ პუტივლის ქალაქკომის მდივნად მუშაობდა. გერმანელების მოსვლის შემდეგ აქტივისტთა მცირე ჯგუფთან ერთად ტყეში გაიხიზნა. პარტიზანული რაზმი, რომელსაც კოვპაკი მეთაურობდა, მალე რსფსრ-ს ტერიტორიაზე, ბრიანსკის მიდამოებში გადმოვიდა. თავად კოვპაკი თვითმფრინავით გადმოიყვანეს მოსკოვში. ბერიამ პირადად ინება მასთან საუბარი.

რატომ შეჩერდა ბერია კოვპაკზე? უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ კოვპაკი ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან საიდუმლო პოლიციასთან თანამშრომლობდა. ის საკმაო ხნის მანძილზე იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე უკრაინუილ პროვინციაში, შესაბამისად, როგორც ყველა პარტმუშაკს, გავლილი ჰქონდა უშიშროების კურსები. კოვპაკი არც სამხედრო საქმეში იყო ახალბედა. ის პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების მონაწილე იყო. მნიშვნელოვანი იყო შემდეგი გარემოებაც: კოვპაკი უკვე ხანშისესული იყო, რაც მისი ლოიალობის გარანტიც გახლდათ. ახალგაზრდას შესაძლოა თავში აუვარდეს ატამანის მდგომარეობა, მაგრამ მრავლისმნახველ კოვპაკს ეს არ მოუვა. რასაკვირველია, ის სასტიკ კონტროლზე უნდა იყოს. ისეთები, როგორიც კოვპაკია, მხოლოდ ძალის წინაშე იდრეკენ ქედს.

– ამხანაგო სტალინ, მსურს მოგახსენოთ, რომ წითელი ბატკო მოვძებნე.

– კეთილი, ლავრენტი, იმედია, შენი არჩევანი გაამართლებს.

მალე კრემლში სტალინი შეხვდა პარტიზანთა მეთაურებს. მათ შორის კოვპაკიც იყო. როდესაც თათბირი დასრულდა, სტალინმა კოვპაკს მიმართა:

– გთხოვთ, ცოტა ხანს კიდევ დარჩეთ.

სტალინი დიდხანს ესაუბრებოდა მომავალ ბატკოს. როგორც ჩანს, მას მოეწონა ეს კაცი, რადგანაც ბრძანება გასცა:

– კოვპაკს ყოველმხრივ დაეხმარეთ.

მალე კოვპაკი თავის რაზმთან ერთად უკრაინის ტერიტორიაზე გადავიდა. ახლა ეს მცირერიცხოვანი რაზმი კი არა, 4 ათასიანი პარტიზანული შენაერთი გახლდათ. ის კბილებამდე იყო შეიარაღებული, ჰქონდა თავისი არტილერიაც. რაზმში მოქმედებდა კონტრდაზვერვა, რომელიც ფხიზლად ადევნებდა თვალს თითოეულ მებრძოლს. მას ხელმძღვანელობდა პროფესიონალი ჩეკისტი სირომოლოტნი. ასევე პროფესიონალი ჩეკისტი გახლდათ დაზვერვის უფროსი ვერშიგორაც. რაზმს გააჩნდა თავისი მარშრუტი, ის მოსკოვში შეიმუშავეს და მისგან გადახვევა არ შეიძლებოდა. მოსახლეობაც მალე დარწმუნდა, რომ კოვპაკი არაფრით გამოირჩეოდა სხვა საბჭოთა პარტიზანი მეთაურებისგან. ის აწყობდა დივერსიებს და უჩინარდებოდა. პასუხად გერმანელები მშვიდობიან მოსახლეობას უსწორდებოდნენ. ნელ-ნელა უკრაინული მოსახლეობა მტრულად განეწყო წითელი პარტიზანებისადმი.

ბანდერელებთან შეტაკებებისას კოვპაკმა რამდენიმე მწვავე მარცხი იწვნია. დანაკარგი დიდი იყო, ამიტომაც აუცილებელი გახდა კომპრომისი. ამისი აუცილებლობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც კოვპაკმა მიიღო ბრძანება გადასულიყო კარპატებში და გერმანელთა ღრმა ზურგში ფართომასშტაბიანი დივერსიები განეხორციელებინა.

– ბანდერელებთან შეთანხმების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ამის გაკეთებას. კარპატებში მოსახვედრად ხომ უნდა გავიაროთ ტერიტორია, რომელსაც ნაციონალისტები აკონტროლებენ!

მოსკოვმა თანხმობა განაცხადა ბანდერელებთან შეთანხმების დადებაზე. შეთანხმებაც დაიდო. ბანდერელთა ცალკეული მეთაური მართლაც წავიდა კოვპაკთან მოლაპარაკებაზე. ადგილი ჰქონდა რამდენიმე საერთო ოპერაციასაც გერმანელთა წინააღმდეგ. ბანდერელებმა გაატარეს კოვპაკი კარპატებში. როდესაც კოვპაკელებმა თავიანთი საქმე გააკეთეს და უკან დაბრუნება დაიწყეს, მოსკოვიდან ფიცხელი ბრძენება მივიდა:

– დაარტყით ზურგში ბანდერელებს!

კოვპაკმაც ეს ბრძანებაც მორჩილად შეასრულა. შედეგად მისმა რაზმმა ძლივს უშველა თავს. წითელ პარტიზანთა დიდი ნაწილი სამუდამოდ ჩაწვა კარპატებში. თავად კოვპაკი სასწაულით გადარჩა. ის, საქონლის ნეხვში ჩამალული, ურმით გამოიყვანეს. სამაგიეროდ, სტალინმა მას გენერლის ჩინი და საბჭოთა კავშირის გმირობა უბოძა.

❖ ❖ ❖

## ოპერაცია დარი

დარი – ასე იწოდებოდა სპეცოპერაცია, რომლის მიზანიც გენერალ დარგელის ლიკვიდაცია იყო. ეს კაცი უკრაინის რაიხსკომისარ ერიხ კოხის ერთ-ერთი მოადგილე გახლდათ. ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი დიმიტრი მედვედევი (ტიმოფეი). მისი პარტიზანული რაზმის მებრძოლი იყო სპეცაგენტი ნიკოლოზ კუზნეცოვი (კოლონისტი, პუხი). ის მოქმედებდა როვნოში, როგორც გერმანული არმიის ობერ-ლეიტენატი პაულ ზიბერტი.

როვნო ფაშისტთა ღრმა ზურგში მდებარეობდა. აქ იმყოფებოდა უკრაინის რაიხსკომისარიატი, აქედან ხდებოდა ოკუპირებული უკრაინის მართვა.

დარგელზე თავდასხმა დიდხანს და გულმოდგინეთ მზადდებოდა. პარტიზანებმა გულდასმით შეისწავლეს დარგელის დღის რეჟიმი. როგორც ყველა გერმანელი, დარგელიც პუნქტუალობით გამოირჩეოდა: ერთსა და იმავე დროს დგებოდა, საუზმობდა, ზუსტად ცხადდებოდა სამსახურში, სადილობდა შუადღის პირველ საათზე, შემდეგ ფეხით ბრუნდებოდა რაიხსკომისარიატში. ამ დროს მას ახლდა ხანშიშესული პოლკოვნიკი, რომელსაც პორტფელი მოჰქონდა. მედვედევმაც გადაწყვიტა თავდასხმა შუადღეზე მოეწყო. კუზნეცოვის განკარგულებაში გადაიცა მანქანა. საჭეს შოფერი-ვირტუოზი კოლია სტრუტინსკი უჯდა.

თავდასხმა დარგელზე მოეწყო 1943 წლის სექტემბერში. ტერორისტებმა შეძლეს გაქცევა, თუმცა მალე გამოირკვა, რომ მოხდა შეცდომა: მოკლული იყო არა გენერალი დარგელი, არამედ გეელი და მისი თანმხლები მაიორი ვინტერი. სამაგიეროდ, ზუსტად განხორციელდა ოპერაციის მეორე ნაწილი. კუზნეცოვმა დანაშაულის ადგილას დააგდო ბანდერელის საწევრო ბლანკი. ამით გესტაპოს უნდა ეფიქრა, რომ აქცია უკრაინელმა ნაციონალისტებმა განახორციელეს. ასეც მოხდა, რაც მტკივნეულად აისახა მშვიდობიან უკრაინულ მოსახლეობაზე. მეორე დღესვე გერმანელებმა დახვრიტეს როვნოს ციხეში მყოფი ყველა უკრაინელი პატიმარი. დააპატიმრეს უამრავი უკრაინელი ინტელიგენტი. მათ შორის იყო ავტოკეფალური ეკლესიის მომავალი პატრიარქი მსტისლავი (სტეპან სკრიპნიკი). გერმანელები მარტოოდენ ამით არ შემოიფარგლნენ. როვენშჩინაზე შემოყვანილ იქნა დამსჯელთა დამატებითი ნაწილები. მათ მეთაურობდა სისასტიკით ცნობილი პოლკოვნიკი პიპერი. თვით ჰიტლერელებმაც კი მას სიკვდილის ოსტატი შეარქვეს. პიპერის მეომრებმა მიწასთან გაასწორეს მთელი სოფლები.

# რა სიხშირით უნდა კვებოთ ბავშვი

პირველ მშობიარეებში ბავშვის ძუძუსთან ხშირი მიყვანა ხელს უწყობს ლაქტაციას. რაც მეტი რძე გააქვს ბავშვს, მით მეტი რძე დგება ძუძუში.

ბუნებრივ კვებაზე მყოფი ბავშვებისთვის კვების რეჟიმი არ არსებობს. ბავშვს მაშინ უნდა აჭამოთ, როცა მოშივდება. ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენი გამოწოვა წინა კვებაზე და რამდენ ხანში შეიძლება ისევ მოშივდეს. თუ ბავშვს შია და ტირის, არ ალოდინოთ. ეს მას ღონეს გამოაცლის და წოვის თავი აღარ ექნება. თავდაპირველად, საჭმლის მომნელებელი სისტემის მოუმწიფებლობის გამო, ბავშვი ცოტას და ხშირად ჭამს. ხოლო შემდეგ, როცა კუჭ-ნაწლავის ტრაქტი ჩამოუყალიბდება, ბევრს შეჭამს და ნაკლები სიხშირით. ახალშობილი დაბადებიდან 3-4 დღის შემდეგ 2-3 საათში თხოულობს ძუძუს, ე.ი. დღეში 7-8-ჯერ. შეიძლება ღამითაც ვაჭამოთ, მაგრამ უმჯობესია, თუ დიდი ძილის დროს მას საკვებს არ მივცემთ.

ბავშვის დიდი ძილი, ანუ ღამის ძილი, 5-6 საათს გრძელდება. ყოველი კვების წინ დედამ სარძევე ჯირკვალი გადადუღებული წყლით უნდა მოიბანოს. ძუძუს მიცემამდე რამდენიმე წვეთი უნდა გამოიწველოს. ამით რძის სადინარები გამოირეცხება. თუ წოვის შემდეგ ძუძუში რძე დარჩება, მისი ბოლომდე გამოწველა აუცილებელია.



კვების დამთავრების შემდეგ დედამ ძუძუსთავები ხელახლა უნდა მოიბანოს თბილი, ანადუღარი წყლით, გაიმშრალოს და რომელიმე მალამოს თხელი ფენა წაისვას. მალამო უნდა შეიცავდეს ცხიმს, რომელიც არბილებს და ანაზებს, მოქნილობას აძლევს კანს. ამის შემდეგ ძუძუს დვრილები მოწოვის დროს აღარ დასკდება.

**ახალშობილთა ძუძუსთან მიყვანის აბსოლუტური წინააღმდეგ ჩვენებებია:**

ქალასშიდა სისხლჩაქცევა, ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადება, ღრმა დღენაკლულობა.

**ძუძუთი კვება არ არის რეკომენდებული აგრეთვე ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა:**

1. თირკმლის დაავადებები უკმარისობის განვითარებით. 2. თანდაყოლილი ან შეძენილი გულის მანკი. ენდო და მიოკარდიტი. 3. სისხლის მძიმე დაავადებები. 4. ჰიპერთირეოზის გამოხატული ფორმები. 5. ავთვისებიანი სიმსივნეები. 6. მწვავე ფსიქიკური დაავადებები.

**შედარებითი წინააღმდეგჩვენებებია:**

1. ტუბერკულიოზის აქტიური ფორმები. 2. ათაშანგი. 3. დედის სხვადასხვა ინფექციური დაავადებები (წითელა, ჩუტყვავილა, ქუნთრუშა, ტიფი და სხვ.).

დედის მხრივ დაბრკოლებანი ადგილობრივი და ზოგადი ხასიათისაა. ადგილობრივი ხასიათის დაბრკოლებებს ეკუთვნის დვრილის სხვადასხვა ვარიანტები:

1. ინფანტილური, მცირე ზომის, მახვილკიდიანი, შეზნექილი, ორად გაპობილი. ამ დროს საჭიროა ძუძუს წოვის წინ სპეციალური გამოსაწოვის გამოყენება.

2. ძუძუს დვრილის ნახეთქები. აუცილებელია მათი მკურნალობა. მსუბუქ შემთხვევაში გამოწოვა საჭიროა სპეციალური გამომწოვის მეშვეობით. შედარებით მძიმე შემთხვევაში დაავადებული ძუძუს გამოწოვა უნდა შევწყვიტოთ 2-3 დღით და, ამავე დროს, რძე გამოვწუროთ თითებით, ან რძის საწოვარათი, თორემ ძუძუში რძის დაგროვებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მასტიტის განვითარებას.

3. მასტიტის ანუ სარძევე ჯირკვლის ანთება. მისი განვითარების ხელშემწყობი პირობაა ჰიგიენური პირობების დარღვევა, რძის შეგუბება.

4. გალაქტორეა – რძის თვითნებური დინება, რაც აღენიშნებათ ნევრასთენიულ და ისტერიულ მეძუძურ ქალებს.

5. ჰიპოგალაქტია – ლაქტაციის სტაბილური დაქვეითება. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალის ფსიქოლოგიურ სტატუსს. ბავშვის მხრიდან დაბრკოლებები შეიძლება იყოს სხვადასხვა სიმახინჯეები (მგლის ხახა, კურდღლის ტუჩი, მაგარი სასის შეუხორცებლობა და სხვ.), გულის თანდაყოლილი მანკის მძიმე ფორმები, რძიანა, რინიტი, ოტიტი და სხვა.

ყველა ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სპეციალისტის ჩარევა და მისი მითითებებითა და რეკომენდაციებით მოქმედება.

# ისრაელში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა



ისრაელში ვითარება მკვეთრად დაიძაბა. მიზეზი ექსტრემისტული ორგანიზაცია ჰამასის მოქმედებაა. მან ისრაელის ქალაქებს რაკეტები დაუშინა. პასუხად ისრაელის არმიამ კონტრტერორისტული ოპერაცია დაიწყო. ქვეყანაში გამოცხადდა საომარი მდგომარეობა.

ჰამასის მებრძოლები შეიჭრნენ ისარელის ზოგიერთ ქალაქში და მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდნენ. პასუხად ისრაელელებმა ჰამასის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას რაკეტები ესროლეს.

ისრაელის პრემიერი ნეთანიაჰუ დაუკავშირდა აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს. ბაიდენმა ისრაელელებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

# რუსეთმა უკრაინის დაბომბვა გააძლიერა



რუსეთ-უკრაინის ფრონტზე სიახლეებია. ოკუპანტებმა დაბომბვები გააქტიურეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფელ გროზაში მომხდარი ტრაგედია. რუსული რაკეტა პირდაპირ მაღაზიის წინ დაეცა. დაიღუპა 50 ადამიანი, მათ შორის ერთი 11 წლის ბავშვი.

დაბომბვები ამით არ დამთავრებულა. ოკუპანტებმა დაბომბეს ქალაქები კრივოი როგი, ოდესა, ნიკოლაევი, ხერსონი. უკრაინელებმა რუსული რაკეტების უმრავლესობა ჩამოაგდეს, ამიტომ მსხვერპლი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, დანგრეულია სახლები, დაზარალდა კრიტიკული ინფრასტრუქტურა.

რუსული დაბომბვების პასუხად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის დონეცკზე, ლუგანსკზე, სევასტოპოლზე, ფეოდოსიაზე, სიმფეროპოლზე და ა.შ.

რუსები იძულებულნი ხდებიან, გაიყვანონ ყირიმიდან შავი ზღვის ფლოტის ხომალდები.

მარცხმა ოკუპანტები გააბოროტა. მათ უკრაინის დაბომბვები გააძლიერეს. პასუხად აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა პოლონეთს შესთავაზა, ამ ქვეყანაში დისლოცირებული პეტრიოტის ტიპის რაკეტების უკრაინაში გადატანა. სანაცვლოდ, პოლონელებს გადასცემენ ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას – რკინის გუმბათს. თავად ზელენსკიმ აღნიშნა, რომ უკრაინისათვის ახლა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვით საშუალებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ოკუპანტებმა კუპიანსკის მიმართულებით შეტევები განაახლეს. უკვე მეორე დღეა, რაც მიმდინარეობს ინტენსიური ბრძოლები. მიუხედავად ამისა, რუსებმა წინ წაწევა მაინც ვერ შესძლეს. სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდება.

საინტერესო სიტუაცია შეიქმნა ზაპოროჟიეს ოლქში. უკრაინულმა არმიამ რობოტინოს ჩრდილო-დასავლეთით ფრონტი გაარღვია. ოკუპანტები უკან იხევენ. რაც შეეხება ხერსონის ოლქს, აქ უკრაინელებმა დნეპრის მარცხენა ნაპირზე კიდევ რამდენიმე კუნძული დაიკავეს. რუსებმა ხერსონი დაბომბეს. დაიღუპა 90 წლის ქალბატონი და ორი 8 წლის ბავშვი.

### დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.777; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 9.082; არტილერია – 6.666; თვითმფრინავები – 315. განადგურებულია – 282.280 ოკუპანტი.

# ბაიდენისა და შტაინმაიერის შეხვედრა შედგა



აშშ-ის პრეზიდენტის ბაიდენისა და მისი გერმანელი კოლეგის შტაინმაიერის შეხვედრა შედგა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-უკრაინის ომი იყო.

პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ უკრაინისადმი დახმარება უნდა გაგრძელდეს.

# ტრამპს კონგრესის სპიკერობა სურს

აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ კონგრესის სპიკერობა სურს.

დღემდე აშშ-ის კონგრესის სპიკერები კონგრესის დეპუტატები იყვნენ. ჯერ არც სპიკერის გადაყენების შემთხვევა ყოფილა. კელვინ მაკარტი პირველი სპიკერია, რომელიც გადააყენეს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

# იორდანიის დედოფალი საზოგადოებაში მამაკაცის ტანსაცმლით გამოჩნდა



იორდანიის დედოფალი რანია ალ-აბდულა საზოგადოებაში მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი გამოჩნდა. აღნიშნულ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

53 წლის დედოფალი ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმს დაესწრო. ღონისძიებაზე მას ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა ფრანგული დიორის ბრენდის მამაკაცის კოლექციიდან. კომპლექტი შედგებოდა მოსახსნელსახელოებიანი პიჯაკისა და ფართო შარვლისგან.

მეფე აბდალა II-ის მეუღლეს ფეხებზე ეცვა ნავის ფორმის ქუსლიანი ფეხსაცმელები, თეთრი ფერის ბლუზა და ეკეთა გულსაბნევი. სამკაულებიდან კი დედოფალს ამშვენებდა მძივი, ბეჭდები და საყურეები თეთრი ქვებით. მას თმები გაშლილი ჰქონდა, სახეზე კი მოყავისფრო შეფერილობის მაკიაჟი ეკეთა.

# ემილი რატაკოვსკი ქუჩაში გამჭვირვალე კაბით გამოჩნდა



ამერიკელი სუპერმოდელი ემილი რატაკოვსკი საზოგადოებაში გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი გამოჩნდა. ამის ამსახველი ფოტოსურათები ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 32 წლის მოდელი ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში ბადისებრი მიდის სიგრძის კაბით მივიდა, რომელიც მის სხეულს წარმოაჩენდა. მის შიგნით რატაკოვსკის შავი ფერის საცვლების კომპლექტი ემოსა – ქვედა საცვალი სტრინგებით და ბიუსჰალტერი. ფეხებზე კი გამჭვირვალე ფეხსაცმელი ეცვა.

ამერიკელ მოდელს თმები გაშლილი ჰქონდა, ხოლო სახეზე მსუბუქი მაკიაჟი ეკეთა. ყურებს უმშვენებდა ბეჭედი-საყურეები, ხელში კი მომცრო ზომის ხელჩანთა ეჭირა.

# მუზეუმის თანამშრომელმა მოპარული ნახატები გაყიდა და როლს-როისი შეიძინა



გერმანიაში გაიმართა სასამართლო, რომელზეც განიხილებოდა მიუნხენის მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის საქმე, რომელმაც მუზეუმის სათავსოდან მოპარული სამი ნახატი გაყიდა და იმ ფულით ფუფუნების საგნები შეიძინა.

განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა 30 წლის მამაკაცი, რომელიც ს.კ. ინიციალებითაა ცნობილი. ის მიუნხენის მუზეუმში 2016 წლის მაისიდან 2018 წლის აპრილის ჩათვლით ტექნიკოსად მუშაობდა. ამ დროის განმავლობაში მან მუზეუმიდან მე-19-მე20 საუკუნეების გერმანელი მხატვრების ოთხი ნამუშევარი მოიპარა და სამი მათგანი არტ-აუქციონებზე გაყიდა.

მის მიერ მოპარული ნახატებიდან ყველაზე ძვირადღირებული ფრანც ფონ შუტკას 1891 წლის ნახატი „მეფე ბაყაყის ზღაპარი“ აღმოჩნდა. მასში მუზეუმის ყოფილმა თანამშრომელმა 49 ათასი ევრო მიიღო. მის გარდა, მან ასევე გაყიდა ფრანც ფონ დეფრეგერის ნახატი „გოგონები მთებში ფიჩხს აგროვებენ“ და ედუარდ ფონ გრიუტცნერის ნამუშევარი „ღვინის დაგემოვნება“. საერთო ჯამში, მან მოპარულ ნახატებში 60,6 ათასი ევრო მიიღო.

– მან ამ თანხით სხვადასხვა ნივთების გარდა, შეიძინა ახალი ბინა, ძვირფასი მაჯის საათი და ავტომობილი როლს-როისი, – განაცხადა სასამართლოში ბრალმდებელმა.

მამაკაცმა კიდევ ერთი ნახატის „დრინდლის“ გაყიდვა, რომელიც ასევე ფონ დეფრეგერის ფუნჯს ეკუთვნის, ვერ მოასწრო. ქურდობის თაობაზე მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გადაწყვიტა, კატალოგებში აღწერილი ნახატები მუზეუმის საცავში შენახულისთვის შეედარებინა და აღმოაჩინა, რომ იქ, ორიგინალების ნაცვლად, ცუდად შესრულებული ასლები ინახებოდა.

ნახატების ქურდმა სრულად აღიარა საკუთარი დანაშაული და მოინანია. მან საკუთარი საქციელის მოტივები ვერ ახსნა და განაცხადა, რომ „დაუფიქრებლად“ მოქმედებდა. ჯერჯერობით უცნობია, ყალბი ნახატები მან თავად დაამზადა თუ თანამზრახველი ჰყავდა. სასამართლომ დამნაშავეს ერთი წლით და ცხრა თვით პატიმრობა მიუსაჯა. ამ დროისთვის მუზეუმის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ნახატების ახალ მფლობელებთან მათ დასაბრუნებლად.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

## სპორტი

# შედეგები

7 ოქტომბერი
ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| ლუთონი-ტოტენჰემი | 0:1 |
| ბარნლი-ჩელსი | 1:4 |
| მანჩესტერი-ბრენტფორდი | 2:1 |
| ფულემი-შეფილდი | 3:1 |
| ევერტონი-ბორნმუთი | 3:0 |
| კრ.პალასი-ნოტინგემი | 0:0 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

| | |
|---|---|
| სანდერლენდი-მიდლსბრო | 0:4 |
| იფსვიჩი-პრესტონი | 4:2 |
| კარდიფი-უოტფორდი | 1:1 |
| ქოვენთრი-ნორვიჩი | 1:1 |
| ქპრ-ბლექბერნი | 0:4 |
| ლესტერი-სტოკი | 2:0 |
| ლიდსი-ბრისტოლი | 2:1 |
| მილუოლი-ჰალი | 2:2 |
| პლიმუთი-სუონსი | 1:3 |
| საუთჰემპტონი-როტერჰემი | 1:1 |
| უენსდი-ჰადერსფილდი | 0:0 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-დარმშტადი | 1:2 |
| დორტმუნდი-უნიონი | 4:2 |
| ლაიფციგი-ბოხუმი | 0:0 |
| შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 3:1 |
| ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 2:3 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ვისბადენი-ჰამბურგი | 1:1 |
| ფიურტი-ჰანზა | 1:0 |
| მაგდებურგი-კარლსრუე | 1:1 |
| ზ.პაული-ნიურნბერგი | 5:1 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

| | |
|---|---|
| კადისი-ხირონა | 0:1 |
| რეალი-ოსასუნა | 4:0 |
| მალიორკა-ვალენსია | 1:1 |
| სევილია-რაიო | 2:2 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

| | |
|---|---|
| უესკა-ელდენსე | 0:1 |
| რასინგი-ხიხონი | 3:2 |
| ლეგანესი-ოვიედო | 0:0 |

### იტალია. სერია ა

| | |
|---|---|
| ინტერი-ბოლონია | 2:2 |
| იუვენტუსი-ტორინო | 2:0 |
| ჯენოა-მილანი | 0:1 |

### იტალია. სერია ბ

| | |
|---|---|
| ზიუდტიროლი-კატანძარო | 0:1 |
| კოზენცა-ლეკო | 3:0 |
| მოდენა-პალერმო | 0:2 |
| რეჯანა-ბარი | 1:1 |
| ასკოლი-სამპდორია | 1:1 |
| ვენეცია-პარმა | 3:2 |
| ჩიტადელა-ტერნანა | 2:2 |

### საფრანგეთი. ლიგა 1

| | |
|---|---|
| მეცი-ნიცა | 0:1 |
| რეიმსი-მონაკო | 1:3 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

| | |
|---|---|
| ბორდო-ლავალი | 0:1 |
| ამიენი-ანჟე | 1:4 |
| ვალანსიენი-ტრუა | 1:1 |
| გენგამი-გრენობლი | 2:2 |
| კევიი-პო | 2:2 |
| კონკარნო-დიუნკერკი | 4:3 |
| როდეზი-კაენი | 5:3 |
| სტ.ეტიენი-აიაჩო | 0:0 |
| ბასტია-ანსი | 2:1 |
| პარიზი-ოსერი | 0:2 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

| | |
|---|---|
| ფარენშე-ვიზელა | 0:0 |
| შავიში-ჟილ ვისენტე | 0:0 |
| ბრაგა-რიუ ავე | 2:1 |
| ეშტორილი-ბენფიკა | 0:1 |

### ნიდერლანდები. ერედივიზიონი

| | |
|---|---|
| ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1:1 |
| ალმერე-ვალვაიკი | 1:0 |
| იგლზი-ერაკლესი | 4:0 |
| ვიტესი-ექსელსიორი | 0:0 |

### ბელგია. ა დივიზიონი

| | |
|---|---|
| სერკლი-ლეუვენი | 3:2 |
| ვესტერლო-კორტრაიკი | 1:0 |
| ანდერლეხტი-მეხელენი | 3:1 |

### თურქეთი. სუპერლიგა

| | |
|---|---|
| პენდიკი-სივასი | 2:3 |
| ანკარაგიუჯიუ-ქაისერი | 3:0 |
| ანთალია-გალათასარაი | 0:2 |
| ბაშაქშეჰირი-გაზიანთეპი | 2:0 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| აუსტრია-ლინცი | 4:0 |
| ლუშტენაუ-რაპიდი | 0:5 |
| ჰარტბერგი-ტიროლი | 3:0 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| ლივინგსტონი-მოზერველი | 2:0 |
| სელტიკი-კილმარნოკი | 3:1 |
| ჰართსი-ჰიბერნიანი | 2:2 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

| | |
|---|---|
| ივერდონი-გრასჰოპერსი | 0:3 |
| ციურიხი-ვინთერთური | 3:2 |
| სტ.გალენი-უში | 4:0 |

### ჩეხეთი. 1 ლიგა

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი 1905-ზლინი | 0:0 |
| ჩესკე-კარვინა | 1:0 |
| სიგმა-ბოლესლავი | 4:0 |
| სლოვაცკო-ტეპლიცე | 2:0 |
| ბანიკი-პარდუბიცე | 1:1 |

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

| | |
|---|---|
| რადომიაკი-ლოძი | 3:0 |
| ვიძევი-სტალი | 1:0 |
| ზაგლებიე-პიასტი | 1:1 |
| რუხი-პოგონი | 0:3 |

### უკრაინა. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| დნიპრო-ვერესი | 2:0 |
| ჩერკასი-ოლექსანდრია | 0:0 |
| კოლოსი-ვორსკლა | 0:0 |

### შვედეთი. ალსვენსკა

| | |
|---|---|
| აიკი-მიალბი | 1:0 |
| ჰალმშტადი-დეგერფორსი | 0:0 |
| გიოტებორგი-სირიუსი | 0:1 |

### ნორვეგია. ელიტსერია

| | |
|---|---|
| ოდი-ვიკინგი | 1:1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტორპედო სამეულში შევიდა

ეროვნულ ლიგაში 29-ე ტურის ორი მატჩი გაიმართა. სამტრედიამ კვლავ მოიგო და გასავარდნ ზონაში სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა, ტორპედომ კი, სამეულში აინაცვლა...

**სამტრედია-დინამო (თბ) 3:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 ნაჭყებია (2), 1:1 კალანდაძე (56), 2:1 მიშოვი (61), 3:1 ინჯგია (80), 3:2 მექვაბიშვილი (90)

**სამტრედია:** ხარატიშვილი, დვალიშვილი, აბულაძე, ი.ახვლედიანი, უბილავა, პავიშიჩი (ოლატუნჯი 84), ხმალაძე, თ.ახვლედიანი (ოდიშელიძე 90), ფირანაშვილი (კირკიტაძე 84), ნაჭყებია, მიშოვი (ინჯგია 70)



**დინამო:** ლორია, მაისურაძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, კადეტე, ოსეი, მექვაბიშვილი, ხარაიშვილი, ბუშნია (მარუშიჩი 46), კამარა (კობოური 46), სხირტლაძე (იობაშვილი 46)

სამტრედიამ კარგი სერია გააგრძელა, ბოლო ექვს მატჩში ხუთი მოგება მოუგროვდა და ერთი ფრედ დაასრულა. თანაც, სამტრედიელებმა ამჯერად მოქმედ ჩემპიონს სძლიეს – 3:1.

თავის მხრივ, დინამო თბილისის 9-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყდა. ანდრეს კარასკოს პირველი წაგება დინამოელთა მთავარი მწვრთნელის რანგში.

სამტრედია ზვიად ნაჭყებიას სწრაფი გოლით დაწინაურდა; მეორე ნახევარში დინამომ გაათანაბრა: კუთხურს საბა ხვადაგიანის თავური მოჰყვა, ალექსანდრე კალანდაძემ ბურთს მიმართულება შეუცვალა და 1:1; ხუთ წუთში სამტრედიელები ისევ წინ გავიდნენ – ჩრდილო მაკედონიელმა ალექსანდარ მიშოვმა შეაგდო; მე-80 წუთზე კი შეცვლაზე შესულმა რევაზ ინჯგიამ ახლო კუთხეში გაუტანა გიორგი ლორიას და 3:1; მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მოახერხა დინამო თბილისმა სხვაობის შემცირება, ანზორ მექვაბიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან აუღებელი დაარტყა.

**დილა-ტორპედო 0:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 არაბიძე (28)

58-ე წუთზე არაბიძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ანდრონიკაშვილი (ეტოუ 87), ზ.თევზაძე, სილვა, ნ.გაგნიძე, სანტოსი, გომისი (გაფრინდაშვილი 60), ჟან ვიქტორი (ჩაგანავა 76), სარდალიშვილიმ, კუხიანიძე (ასამოა 87)

**ტორპედო:** კლიაიჩი, მჭედლიშვილი, მონტეირო, სანდოხაძე, გოგლიჩიძე, აკბარი (მანჯგალაძე 74), გიგაური, ბულრიძე, არაბიძე, შერგელაშვილი (ნინკოვიჩი 74), ფანცულაია (კაიკე 74)

ქუთაისის ტორპედომ ამჯერად გორში დილასთან მოიგო 1:0 და ერთბაშად სამი საფეხურით ზემოთ აინაცვლა და მესამე ადგილამდე დაწინაურდა.

მეორე წრის მერე ალბათ ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ტორპედო სამეულამდე მიაღწევდა, რადგან ქულებში ჩამორჩენა ძალიან დიდი იყო.

გორში ერთადერთი გოლი გიორგი არაბიძემ გაიტანა: ფლანგიდან ცენტრისკენ შეიწია, დაარტყა, რიკოშეტი და 0:1... ეს 28-ე წუთზე მოხდა.

მეორე ტაიმში არაბიძეს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა: ევგენ კუჩერენკომ აუღო.

მატჩს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვილი სანიოლი დაესწრო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 28 | 18 | 8 | 2 | 67-28 | 62 |
| 2. დინამო (თბ) | 29 | 16 | 7 | 6 | 72-42 | 55 |
| 3. ტორპედო | 29 | 12 | 9 | 8 | 36-31 | 45 |
| 4. საბურთალო | 28 | 13 | 6 | 9 | 53-35 | 45 |
| 5. დილა | 29 | 12 | 8 | 9 | 44-34 | 44 |
| 6. სამგურალი | 28 | 12 | 7 | 9 | 38-41 | 43 |
| 7. თელავი | 28 | 8 | 7 | 13 | 26-44 | 31 |
| 8. სამტრედია | 29 | 8 | 5 | 16 | 34-48 | 29 |
| 9. გაგრა | 28 | 5 | 8 | 15 | 26-54 | 23 |
| 10. შუქურა | 28 | 3 | 5 | 20 | 33-72 | 8 |

**შენიშვნა:** შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

# დუდუ დადიანის მემორიალი ქუთაისმა მოიგო

**მარგვეთი-ქუთაისი 89:94**

(34:24; 17:23; 18:20; 20:27)

დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებული ქუთაისი გახდა. იმერულ კლუბს ეს ტურნირი აქამდე 2011 და 2020 წლებში ჰქონდა მოგებული და მარგვეთთან გამარჯვებით ტიტულს მესამედ შესწვდა.

თამაშში ლიდერი ერთხელ შეიცვალა. პირველი ბურთი რომ ჩააგდეს და დაწინაურდნენ, ზესტაფონელები წინ იყვნენ, სანამ თამაშის დასრულებამდე 2:10 წუთი არ დარჩა. სწორედ ამ დროს აკაკი დვალიშვილმა ორქულიანით რიონისპირელები 87:86 დააწინაურა. დვალიშვილმა მომდევნო შეტევაში სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ბოლო წუთზე, როცა ქუთაისელები 2 ქულით იგებდნენ, გამარჯვების ორქულიანიც მიაყოლა.

დვალიშვილი დამსახურებულად გახდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშე, რომელსაც მატჩის დასრულების შემდეგ მვპ-ს ტიტული საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილემ, ლაშა გამყრელიძემ გადასცა. დვალიშვილმა, უკვე ქუთაისის კაპიტნის რანგში, დუდუ დადიანის თასი ჩაიბარა, რომელიც მას დუდუ დადიანის ძმისშვილებმა – ნიტამ, სანდრომ და ანდრიამ გადასცეს.

არადა, გამარჯვებასთან უფრო ახლოს მარგვეთი იყო. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ გუნდს ძალა და გამოცდილება არ ეყო, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. მარგვეთი ყველაზე მეტს 10 ქულას იგებდა, რაც ძირითადად მათი სნაიპერების დამსახურება იყო. ზესტაფონელებმა ამჯერადაც მეტოქეზე მეტი სამიანი ჩააგდეს, რაც აკაკი ლომოურის (4), ლუკა ზაქრაძის (3) და მაიკლ მეიესის (2) დამსახურება იყო. ქუთაისელთა წარმატების გასაღებიც იმაშია, რომ ბოლო პერიოდში საიმედოდ გადაკეტეს პერიმეტრი და რაკი მეტო-




ქის ყველაზე საშიში იარაღი გაანეიტრალეს, ფარქვეშა, პოზიციურ თამასა და საშუალო სროლებში მეტოქეს აჯობეს.

მატჩი საბოლოოდ ქუთაისელთა სასარგებლოდ – 94:89 დასრულდა. ყველაზე შედეგიანი გიორგი ოჩხიკიძე იყო – 20 ქულა, 11 პასი. ამდენივე ქულა მიითვალა გიორგი სულაბერიძემაც. ორმაგი დუბლი (17 ქულა, 12 მოხსნა) გამოჭედა გიორგი კორსანტიამ. დვალიშვილის ანგარიშზე კი, 15 ქულა, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა დაგროვდა. მარგვეთში 20 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ტაიშონ კროუფორდი. მაიკლ მეიესმა შეხვედრა 22 ქულით, 8 მოხსნითა და 4 პასით დაასრულა. აკაკი ლომოურის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ბორჯღალოსნებმა მსოფლიო მოგების გარეშე დაასრულეს



დიახ, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო თასი გამარჯვების გარეშე დაასრულა. ბორჯღალოსნები და მათთან ერთად მთელი საქართველო ვიმედოვნებდით, რომ ბოლო მატჩში შარშან ძლეულ უელსთან კარს გავიჯახუნებდით.

თუმცა, კარის გაჯახუნება არ შედგა და უმთავრესად – დერეფანში წარმოუდგენლად ცუდი თამაშის გამო. ეს, ტრადიციულად ძლიერი ჩვენი გუნდისთვის ელემენტი მიმდინარე მსოფლიო თასზე არაფრად ვარგოდა და კოზირიდან სუსტ წერტილად იქცა. სხვის დერეფნებს ვინ ჩივის და საკუთარ მოწოდებათაგან უმრავლესობას რომ წააგებ, კარგი დღე არ დაგადგება.

ამდენად, შედეგი ლოგიკურია – 6 გაშვებული ლელო 3 გატანილის წილ და მარცხი 24-ქულიანი სხვაობით – 19:43.

კიდევ ერთი უცნაური რამ – ამდენი ტრავმა ქართველებს არასდროს მიულიათ. ესეც სავარაუდოდ მოსამზადებელ პერიოდში დაშვებული შეცდომის ბრალია. ამ ტრავმების გამო მთელი სტრატეგია რომ აგერევა, ეს სულაც არაა გასაკვირი. 15 ნომერზე, მძიმედ ტრავმირებული მირიან მოდებაძის ნაცვლად ვეტერანი ლაშა ხმალაძე გამოჩნდა, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა კარგა ნახევარი წელი არ ჰქონდა, ამიტომ თავიდან საერთო სურათიდან საგრძნობლად ამოვარდნილი იყო და ხშირადაც ცდებოდა. სხვებიც ხშირად სცოდავდნენ, ხოლო უელსელები ამ შეცდომებს ოსტატურად იყენებდნენ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა მათი ქულა ბორჯღალოსნების ტექნიკურ შეცდომებს მოჰყვა. თორემ, „დრაკონებს" სულაც არ უთამაშიათ სუპერრაგბი.

ლელოების აღწერას რა აზრი აქვს, ალბათ ყველა იხილავდა საკუთარი თვალით, მაგრამ დავით ნინიაშვილის გაბრწყინება ნახვად ღირდა. მარცხენა ფრთაზე მისი ინდივიდუალური გარღვევა მატჩის მშვენებად იქცა. ეს იყო საქართველოს ნაკრების მესამე ლელო, მანამდე კი თავი პირველი ტაიმის ბოლოს კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ და ნინიაშვილის ლელომდე სამიოდე წუთით ადრე ვანო კარკაძემ გამოიჩინეს. ორივე ხსენებული ლელო ხარისხიანი იყო, მაგრამ „ნინის" შედევრთან შედარებას ვერ გაუძლებს. სხვათა შორის, ნინიაშვილთან ერთად ვინმეს გამოყოფა თუ შეიძლება, ეს სწორედ შარიქაძე-კარკაძე არიან, მათ გარდა კი შერკინების მესამე ხაზი სრული შემადგენლობით.

დასასრულს იმასღა დავძენთ, რომ 2003 წლის, სადებიუტო მსოფლიო თასის შემდეგ 2023 წლის ტურნირი პირველია, როცა საქართველოს ნაკრებმა 4 მატჩიდან ვერცერთი მოიგო. სამეულში, ცხადია, ვერ მოვხვდით და 2027 წლის მსოფლიო თასი საგზურის მოპოვება კვლავაც მოგვიწევს.

**ლევან მაისაშვილი:**

– პირველი დონის ქვეყნებთან სპარინგის სიმცირე ჩვენთვის დიდი პრობლემაა, რადგან ირგვლივ მეზობლად არ გვყავს პირველი დონის ქვეყანა. ჩვენ კუნძულივით ვართ. ყოველთვის, როცა ამაზე მეკითხებიან, ვპასუხობ – რა თქმა უნდა, მეტი თამაში გვჭირდება პირველი დონის ქვეყნებთან, ჩვენ ეს გამოცდილება გვაკლია.

შორს მივდივართ, რადგან კარგი მატჩები გავმართოთ ურუგვაისთან ან არგენტინასთან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. გვჭირდება მეტი დაპირისპირება ჩვენზე მაღლა რეიტინგში მყოფ ქვეყნებთან. სეზონში 11 მატჩი გამოგვდის, უმეტესობა მეორე დონის ქვეყნებთან.

# ფუტსალის ნაკრებმა ფინეთი დაამარცხა

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ელიტ რაუნდში თბილისის სპორტის სასახლეში ფინეთის ნაკრები 5:2 დაამარცხა და მუნდიალზე მოხვედრის შანსი დაიტოვა. თუმცა...



საქართველოს ნაკრებმა პირველ ტაიმში სამი უპასუხო გოლი შეაგდო: ანგარიში სიმი საიოტმა გახსნა, მერე იყო იირო ვანჰას ავტოგოლი და ბოლოს ბინიოს გოლი.

მეორე ტაიმში ფინელებმა ერთი ბურთი გაქვითეს, მაგრამ ბინიომ სხვაობა ისევ სამბურთიანი გახადა. მატჩი ბოლოს ვა ბანკზე წასულ ფინელებს ჩვენმა მეკარემაც გაუტანა და ფინელები პრესტიჟის გოლსღა დასჯერდნენ.

ჩვენივე ჯგუფში პორტუგალიამ სტუმრად 6:5 მოუგო სომხეთს და 9 ქულით ლიდერობს; საქართველოს ნაკრებს 6 ქულა აქვს; ფინელებს – 3; ხოლო სომხეთმა სამივე წააგო.

საქართველოს ნაკრები 11 ოქტომბერს, ისევ ფინეთს ეთამაშება და ტურკუში ესტუმრებიან.

ელიტ რაუნდში 20 გუნდი ხუთ ჯგუფშია გადანაწილებული, საიდანაც პირდაპირ ფინალში გამარჯვებულები გავლენ, ხოლო ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი კი, საგზურის მფლობელ კიდევ ორ ნაკრებს ფლეი ოფის გზით გამოავლენს.

თუმცა, იმასაც შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და სომხეთის ნაკრებები საფრთხის წინაშე დგანან, რადგან უეფა საკმარისზე მეტად ნატურალიზებული ფეხბურთელების გამო, დასჯას უპირებს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა გააკეთა:

– რა თქმა უნდა, ძალიან არასასიამოვნოა ის გარემოება, რაც ჩვენი ნაკრების გარშემო შეიქმნა. თუმცა, ჩემთვის გაუგებარია ეს გადაწყვეტილება, მით უმეტეს, რომ თამაშამდე ერთი დღით ადრე იქნა მიღებული. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ვითარებაში გავერკვეთ. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ გუნდს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა და მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი რაუნდი დაძლია.

ამ გუნდის წევრები საქართველოს მოქალაქეები არიან და გუნდს უნდა დავეხმაროთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი მაქსიმალურად გამოიყენოს. მარტო ჩვენ არ გვყავს ნაკრები, სადაც ნატურალიზებული ფეხბურთელები თამაშობენ.

ამ ეტაპზეც კი ასეთი ბევრი ქვეყნის ნაკრებია. ამიტომ საქართველოს ნაკრები და ჩვენი ჯგუფი არ უნდა ვიყოთ გამონაკლისი და ყველამ თანაბარ პირობებში უნდა ვითამაშოთ. საამისოდ, ჩვენი ფედერაცია მაქსიმუმს გააკეთებს, რომ ჩვენს გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი მიეცეს.

აქ უფრო სამომავლო პერსპექტივაზეა საუბარი, ფუტსალს როგორი გზით მოუწევს სიარული არა მარტო საქართველოში, არამედ, ევროპაშიც. მინიმუმ 10 ნაკრებია, რომელსაც შემადგენლობაში ნატურალიზებული მოთამაშეები ჰყავს.

ეს დამოკიდებული იქნება გადაწყვეტილებაზე, რომელსაც უეფა-ს შესაბამისი კომიტეტი მიიღებს. უკვე შეგვპირდნენ, რომ ფუტსალის კომიტეტის შეხვედრა გაიმართება. იქ წარმოდგენილი იქნება ყველა ის ქვეყანა, რომელსაც ნატურალიზებული ფეხბურთელები ჰყავთ.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი პრიმაბალერინა; 2. ქართული ნაციონალური კერძი; 3. თეთრი ფერის, მშრალი გერმანული ღვინო; 4. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 5. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 8. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 9. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 12. მდგომარეობა კრივში; 13. ნავთობის, წყლის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 16. მდინარე გაგრაში; 17. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდებოდა; 19. ფერადი მინის ან მარმარილოს პატარა ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 20. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

**თარაზულად:** 6. მთიანეთი ავლანეთში; 7. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 8. რუსული ესტრადის ვარსკვლავი ქართველი მომღერალი მამაკაცი; 10. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 11. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია ორნამენტი ან წარწერა; 14. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 15. თვალის ექიმი; 18. აქლემის ნაშიერი; 21. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 22. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 23. ორგანიზაციის, ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 24. მსხვილი მემამულე ინდოეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოდაკი; 2. ლენი; 3. ალგოლოგია; 4. კუსტო; 5. ლანძილი; 8. ნადული; 9. თითლიბაზი; 12. სუდოკუ; 14. ხახული; 16. იბიცა.

**თარაზულად:** 1. კონვულსია; 6. კლაუზულა; 7. დეგნანი; 9. თაგორი; 10. კობი; 11. ბურნუთი; 13. ხიხვი; 15. კუმისი; 17. ხარფუხი; 18. ყოჩები; 19. პაულსი; 20. ლაზიერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მორჩილი; 2. კნესეტი; 3. პიგმენტი; 4. კაჭიჭი; 5. ჰელიოსი; 8. სიდედრი; 9. ჰარისონი; 12. გროტესკი; 13. სტატუსი; 16. მაჭახელა; 17. სატურნი; 19. იდალგო; 20. უმური.

**თარაზულად:** 6. კომანდორი; 7. მავრები; 8. სამუმი; 10. ფიპრესი; 11. ფოკა; 14. მეტაფორა; 15. სომბრერო; 18. მანეჟი; 21. დისპუტი; 22. ბუუჟი; 23. ოუენსი; 24. ბალანჩინი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


9 ოქტომბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6719 | ევრო — 2.8215 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2629 | 100 რუსული რუბლი — 2.6621 |

**ამინდის პროგნოზი 9 ოქტომბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერიკ ტენ ჰააგი: „მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“



მანჩესტერ იუნაიტედმა საკუთარ მოედანზე ბრენტფორდი დაამარცხა და ერიკ ტენ ჰააგის გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, რამდენიმე ცუდად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ.

ტენ ჰააგმა მატჩის შემდეგ თქვა, რომ მანჩესტერის ჩამოწერა ნაადრევია და ისინი აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას:

– დღეს ვაჩვენეთ, რომ ბრძოლა შეგვიძლია და იმედია, ასე გავაგრძელებთ, რადგან ჩვენ გვინდა, მაღალი პოზიციებისთვის ვიბრძოლოთ და გულშემატკივარი გავახაროთ.

## მესი შეიძლება ბარსელონაში დაბრუნდეს



ბარსელონას ლეგენდა ლიონელ მესი, შესაძლოა, ბარსელონაში მაინც დაბრუნდეს, რადგან მისი გუნდი მაიამი მლს-ის ფლეიოფში ვერ გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდი რამდენიმე თვე საერთოდ არ ითამაშებს.

ასეთ დროს ფეხბურთელს აქვს უფლება, გუნდი რაღაც პერიოდი დატოვოს და კარიერა სხვაგან გააგრძელოს. არ არის გამორიცხული, მესი ბარსელონაში დაბრუნდეს, თუმცა, ჯერჯერობით, კატალონიელებს ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

## ჯუდ ბელინგემი: „გოლების გატანა ჩემთვის მთავარი არ არის“



მადრიდის რეალის ინგლისელმა ნახევარმცველმა ჯუდ ბელინგემმა კიდევ ერთხელ შეძლო გოლის გატანა და ამჯერად მისი მსხვერპლი ოსასუნა გახდა, რომელიც რეალმა 4:0 დაამარცხა.

ბელინგემმა თქვა, რომ მისთვის მთავარი რეალის გამარჯვებაა და არა პირადი სტატისტიკა:

– მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ მთავარი რეალის გამარჯვებაა და ჩვენ ასე უნდა გავაგრძელოთ. წარსულში დაშვებული შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## სანდრო გეგეჭკორი ჯულიარდის კონკურსის გამარჯვებულია



პიანისტი სანდრო გეგეჭკორი ჯულიარდის სკოლის კონკურსის გამარჯვებული გახდა. მან „მუნცის სახელობის ჯილდო“ მოიგო. კონკურსში ჯულიარდის სკოლის სტუდენტები მონაწილეობდნენ. სულ 15 პიანისტი შეირჩა. ფინალურ ეტაპზე კი გამარჯვება სანდრო გეგეჭკორმა მოიპოვა:

– ჯულიარდის სკოლაში ჩატარდა შიდა სასკოლო კონკურსი – „მუნცის სახელობის ჯილდო“. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ჯულიარდის სკოლის სტუდენტებმა, გადაგვარჩიეს 15 პიანისტი, ფინალის შედეგები გამოაცხადეს და მინდა გაცნობოთ, რომ ამ ჯილდოს მფლობელი გავხდი.

## ერეკლე ბადურაშვილის უკანასკნელი ფილმის პრემიერა სტამბოლში გაიმართება



„ხიდი“ – ასე ჰქვია კინორეჟისორ ერეკლე ბადურაშვილის უკანასკნელ ფილმს, რომლის პრემიერაც 13 ოქტომბერს სტამბოლში გაიმართება. ნამუშევარი კინოსტუდია ქართული ფილმისა და თურქული კომპანიის პირველი ქართულ-თურქული კოპროდუქციაა.

სამწუხაროდ, რეჟისორ ერეკლე ბადურაშვილისა და ოპერატორ თამაზ გოგინაშვილის გარდაცვალების გამო, ფილმწარმოების დასრულება დაგვიანდა. ფილმი ნამდვილ ამბავს ეფუძნება, რომელიც ცნობილმა ქართული წარმოშობის თურქმა ექიმმა, ისმედ დინდერ-მიქელაძემ მოუთხრო რეჟისორს და შთააგონა, ფილმად ექცია. ფილმში ქართული და თურქული კინოს ვარსკვლავები და ცნობადი სახეები მონაწილეობენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ფეხბურთის მოთამაშე ბავშვს მეხი დაეცა

ბრიტანეთის ჰარტფორდშირის საგრაფოს ქალაქ ჰარტფორდში საფეხბურთო ტურნირის მიმდინარეობის დროს 12 წლის ბიჭმა მეხის დაცემა გადაიტანა.

აღნიშნული შემთხვევა 2 სექტემბერს მოხდა, როდესაც სკოლის ტერიტორიაზე საოლქო შეჯიბრი მიმდინარეობდა. ბიჭის, რომელიც იმ მომენტში ფეხბურთს თამაშობდა, მეხი დაეცა, რის შემდეგაც მას გული გაუჩერდა.

ადგილზე სასწრაფო დახმარების მისვლამდე მოზარდისთვის გულის ამუშავებას სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები ცდილობდნენ. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ბიჭი სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

– მომხდარის ალბათობა ათ მილიონში ერთია, – განაცხადა სკოლის დირექტორმა, – ეს საშინელებაა. ყველანი მისი გამოჯანმრთელებისთვის ვლოცულობთ.

ბიჭის გარდა, მეხი 50 წლის მამაკაცსაც დაეცა, რომელიც მატჩს ესწრებოდა. ისიც ასევე საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ისრაელში ჩასული „გორდელა“ და გია ნიკოლაძე სცენის ნაცვლად ბუნკერში აღმოჩნდნენ



ანსამბლი „გორდელა“ და მომღერალი გია ნიკოლაძე ისრაელში თბილისობასთან დაკავშირებით ორგანიზებულ კონცერტში მონაწილეობისთვის ჩავიდნენ, თუმცა, სცენის ნაცვლად, ბუნკერში აღმოჩნდნენ. მიზეზი ისრაელის დაბომბვა გახდა.

ქართველი მომღერლები ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად თავშესაფარში ჩავიდნენ და იქედან სპეციალური მიმართვა გაავრცელეს.

**ანსამბლი „გორდელა“:**

– ვართ მშვიდად და უსაფრთხოდ. გვინდოდა თბილი და სასიამოვნო საღამო ყოფილიყო და თქვენთვის გვემღერა, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყველაფერი შეიცვალა. არ შეშინდეთ, მეგობრებო, ერთად ყოფნა გვაძლიერებს. ხშირად „სირენები“ ირთვება და უსაფრთხო ბუნკერში ჩავდივართ. გულს სიმღერითა და კარგი განწყობით ვიმაგრებთ, ასევე თქვენი კეთილი კომენტარები გვაიმედებს. ზოგს ჰგონია, არ გვეშინია, გვეშინია, როგორ არ გვეშინია, მაგრამ ძალიან ცოტა. ჩვენ ერთად ვართ მთავარია, სიყვარულით და სიყვარულში.

**გია ნიკოლაძე:**



– ისეთ ემოციებში ვარ, საერთოდ არ ვაპირებდი ჩემი ისრაელში ვიზიტის გაშუქებას, მაგრამ იძულებული გავხდი, დამეწერა, რადგან გულზე მომხვდა ბუნკერის ვიდეოს გამოწვეული კომენტარები. ვინც მიცნობს, კარგად იცის ჩემი დამოკიდებულება ქრისტეს სწავლებისადმი, მისი სიტყვისადმი, უფალი ალისადმი მწყალობელი წყალისადმი და ასე შემდეგ. ასე რომ, როცა იერუსალიმში ვიზიტი შემომთავაზეს, კარგად მიხვდება ყველა ჩემი მეგობარი, რა ემოციებიც დამეუფლებოდა. წმინდა მიწა, სადაც ის ალი გადმოდის, რომელიც შავ ზღვაში თითზე შემეხო და მის მერე სულ მის ძებნაში რომ ვარ, წარმოიდგინე, იერუსალიმში რა განწყობით წამოვიდოდი. ეს ხომ ღვთის ნებაა, რაც ჩემს თავს ხდება. ვინც მიცნობს, იცის, რომ ამ საკითხს რაც ეხება, მზად ვარ თვალდახუჭული მივენდო უფალს, თუ უნდა გარდამცვალოს კიდეც. უფლის ნდობით ქარბორბალასაც ავყვები ღრუბლებამდე და აზვირთებულ ზღვაშიც ბევრჯერ შემიცურია, შუაღამეა თუ დღეა.

ასე რომ, ვინც მიცნობს, ცოტა არ იყოს გაუკვირდებოდა, ბუნკერს თავშეფარებული თქვენი მონა-მორჩილი რომ ვენახე. თან ისრაელის წმინდა მიწაზე, სადაც რაკეტების წვიმა იშვიათი მოვლენა არ არის. რა თქმა უნდა, ისიც ვიცი, რომ ბუნკერისთვის თავის შეფარება სირცხვილი არ არის, მაგრამ უბრალოდ ტყუილია და ამიტომ ვწერ ამხელა სტატუსს. კი, ბატონო, თუ საჭირო გახდა, მეც შევაფარებ თავს, მაგრამ ჯერ არ შემიფარებია და არ მინდა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ იმ ვიდეოს ავტორებმა, სადაც მეორე სართულის კიბეზე ვჩანვარ, სათაური კი ისეთი ადევს, რომ უამრავმა მეგობარმა მომწერა, ისრაელში ბუნკერში განახეთო. არა, ჩემო სიხარულებო, აქ ბუნკერში დასამალად არ ჩამოვსულვარ. პირველივე დღეს მოვილოცეთ წმინდა სალოცავები. ხომ ხვდებით, რასაც ჩავატარებდი დედამიწის დატკბობის ინიციატორი. ჰოდა, კონცერტის დღეს ისრაელის ცა განგაშის „სირენებმა“ მოიცვა. აი, ეს არის მოკლე შინაარსი ჩემი ისრაელში ვიზიტისა და არა ის, რაც ბუნკერის ვიდეოს ავტორებს გამოუვიდათ.

დიდი მადლობა კონცერტის ორგანიზატორებს, მათ არც იციან, რა საქმე გამაკეთებინეს. წარმოიდგინეთ, ჩემი ემოციები, როცა განგაშის ხმა გაისმა. როგორც ამბობენ, მთავარი არის რწმენა. ჰოდა, მეც მწამს, რომ მეორედ მოსვლა ქართულ ენაზე მოხდება და ტკბობა კი სიმწარეს გაანეიტრალებს, სიმწარე კი კუდს ბოლოჯერ მოიქნევს. ახლაც სასტუმროს ნომერში ვარ და თუ გამოუვალ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდი, ბუნკერში ჩასვლას არ ვაპირებ, რადგან უფალს ბოლომდე ვენდობი. ეს ყველაფერი კი მხოლოდ უფლის ნებაა. მიყვარხართ, გკოცნით, გეხვევით და გაუმარჯოს წმინდა მიწას, გაუმარჯოს მშვიდობას და უფლის ალის ამობრწყინებას. ვუთანაგრძნობ ებრაელ ხალხს და გარდაცვლილთა ოჯახებს. დიდება ისრაელსა და ებრაელ ხალხს! გაუმარჯოს ებრაელი და ქართველი ხალხის ძმობას!

## ნინი ბრეგვაძემ „ამერიკულ ვოისში“ ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა



ქართველმა მომღერალმა ნინი ბრეგვაძემ „ამერიკულ ვოისში“ მიიღო მონაწილეობა და ბრმა მოსმენების ტურში ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა.

ნინიმ ერთ-ერთი უცხოური ჰიტი შეასრულა და მწვრთნელებისა და დამსწრე საზოგადოების მქუხარე ოვაციებიც დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. ჭადრაკის წინამორბედი ინდური მაგიდის სათამაშო; 4. კომბინაცია პოკერში; 5. ვენეციური ნავი; 8. სავაჭრო-სასადილო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 14. ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო სასმელების შემქმნელი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც შეიცავენ რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციას; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 9. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. პატარა ალამი, დროშა; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 20. ლეონარდო დავინჩის შედევრი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

